ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ნოემბერი
№ 11 1968 წ.



საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლე
მი, მიძღვნილი ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი. სკკპ ც
ტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქ
თველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივ
ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტე
სამახსოვრო წითელ დროშას გადასცემს რესპუბლიკის კომკავშირ
ლი ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

ნაზი კილასონია

# წელი

წელს თითქოს უფრო
გიხაროდა
ნოემბრის მოსვლა.
წელს
თითქოს უფრო შრიალებდა
მზისფერი დროშა.
წელს
თითქოს უფრო ირჯებოდა
შენი მარჯვენა,
მაღალ კაცობის,
აღმავლობის გამოსაჩენად.
წელს
თითქოს უფრო აელვარდა
თვალები შენი.
წელს
სიჭაბუკე თითქოს უფრო
განთებს და გშვენის.
წელს
კომკავშირულს თითქოს უფრო
იმღერი გზნებით.

წელს
დაგილოცა თაობებმა
განვლილი გზები.
წელს თითქოს უფრო
გადმოგხარის
ზეცა ბრიალა,
ბერეგოვოიმ წელს პლანეტას
შემოუარა.
ეს ნიშნავს იმას:
რომ ოცნებებს შეასხი ფრთები.
ეს ნიშნავს იმას:
მიუწვდომელს წვდები და წვდები.
ეს ნიშნავს იმას:
უფრო მეტად, მეტად კვირტდები,
და დედამიწას
ეხლებიან შენი ზვირთები:
წინსვლის,
სიმაღლის,
და სინათლის
დიდი ზვირთები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება მეცნიერებას!



ფოტო ვ. გინზბურგისა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლის იუბილე საერთო-სახალხო დღესასწაული იყო. ორმაგად განიცდიდნენ ამ დიდი ზეიმის სიხარულს ის მხცოვანი ადამიანები, რომლებიც უნივერსიტეტის დაბადების დღიდან იღწვოდნენ მისი აყვავებისათვის. მათ დაზარდეს თაობები, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის საამაყო შვილები, მათ მოიყვანეს დიდი მოსავალი კულტურისა და განათლების ფრონტზე.

და დღეს ამ მოსავალს იმკიან. დღეს მსოფლიოში აღიარებული ქართული მეცნიერება მათთან ერთად დღესასწაულობს ნახევარი საუკუნის მიღწევებს.

აი ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებიც იდგნენ ქართული მეცნიერების სათავეებთან — (მარცხნიდან) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ა. ჯავახიშვილი და გ. ახვლედიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. შანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ნ. მუსხელიშვილი და ი. ბერიტაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ჯანელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტია — მასების

დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია. ხალხისათვის უმწიკვლო სამსახურით, მასების დარაზმვისა და გაძღოლის უნარით, მომავლის განჭვრეტის ნიჭითა და ორგანიზატორული მუშაობით დაიმსახურა მან, როგორც კოლექტიურმა ბელადმა, მშრომელთა ნდობა და სიყვარული.

პარტია მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა. იგი მხოლოდდამხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ წინ მიუძღოდეს და ნათელი მომავლის გზას უჩვენებდეს მშრომელებს. მას არა აქვს სხვა მოწოდება, გარდა იმისა, რომ ემსახუროს ხალხს.

მაღალი მოწოდების განხორციელებისათვის ბრძოლაში პარტია ხელმძღვანელობს რევოლუციური თეორიით. მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნა აძლევს მას შესაძლებლობას ღრმად ჩასწვდეს მოვლენათა არსს, ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე გააკეთოს სწორი დასკვნები, შეიმუშაოს საზოგადოებრივი პროგრესის ობიექტურ მოთხოვნათა შესაბამისი, მეცნიერულად ზუსტი პოლიტიკური ხაზი და უზრუნველყოს მისი ცხოვრებაში გატარება, მიზანსწრაფულად წაიყვანოს საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის გზით.

პარტიის ძალისა და ძლიერების წყაროა მასებთან მჭიდრო კავშირი. კომუნისტური პარტია თავისი არსებით მშრომელთა პარტიაა. იგი წარმოიქმნა როგორც მუშათა კლასის ავანგარდი, რევოლუციური პროლეტარიატის ხელმძღვანელი ძალა. სწორედ მუშათა კლასი, მშრომელი მასები ასაზრდოებენ კომუნისტურ პარტიას, წარმოადგენენ მისი სიცოცხლისა და შთაგონების წყაროს, მისი არსებობის საფუძველს.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის ზრუნავდა მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის, მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის, მათი აღზრდის, დარაზმვისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. „იმისათვის, რომ მოემსახუროს მასას, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — და გამოხატოს *მისი* სწორად გაგებული ინტერესები, მოწინავე რაზმმა, ორგანიზაციამ, მთელი თავისი მუშაობა უნდა გადაიტანოს მასაში, მიიზიდოს მისგან გამოუკლებლივ ყველა საუკეთესო ძალა, ყოველ ნაბიჯზე შეამოწმოს, ზედმიწევნით და ობიექტურად, არსებობს თუ არა კავშირი მასებთან, ცოცხალია თუ არა ეს კავშირი. ასე და *მხოლოდ* ასე ზრდის და ანათლებს მასას მოწინავე რაზმი. გამოხატავს *მის* ინტერესებს, ასწავლის მას დარაზმვას, წარმართავს მასის *მთელ* საქმიანობას შეგნებული კლასობრივი პოლიტიკის გზით“.

პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, მისი ორგანიზატორული ნიჭი, ფართო მასების დარწმუნების, დარაზმვისა და გაძღოლის უნარი იყო ის ძალა, რომელმაც უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მთავარი იყო სახალხო მეურნეობის გაძღოლა, სოციალისტური ეკონომიკის შექმნა და განვითარება, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტა. ყოველივე ეს მოითხოვდა პარტიის ორგანიზატორული მუშაობის, მასებთან კავშირის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას. „მოქმედების უაღრესად სხვადასხვაგვარ სფეროში, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — არაკომუნისტებთან კავშირის უქონლად ლაპარაკიც კი შეუძლებელია კომუნისტური მშენებლობის რაიმე წარმატებაზე“.

არაკომუნისტებთან კავშირის განმტკიცებით, ფართო მასების დარაზმვითა და მათი ენერგიის მიზანსწრაფული გამოყენებით პარტიამ წარმატებით განახორციელა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. მან მოკლე დროში შექმნა მძლავრი სოციალისტური ეკონომიკა, უზრუნველყო საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერებისა და მთელი ხალხის მორალურ პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცება.

კომუნისტურმა პარტიამ ფართო მასებზე დაყრდნობით, მშრომელთა დარაზმვითა და აღფრთოვანებით, მათი აქტივობის მაქსიმალური გამოყენებით სწრაფად მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები, აღადგინა და განავითარა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა, აამაღლა მასების საარსებო დონე და გააჩაღა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა.

სოციალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალი პერიოდისათვის პარტიის პროგრამა სახავს სამ ძირითად ამოცანას: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირებას და კომუნისტური მომავლის ადამიანის აღზრდას. ახლა პარტიის მთელი გულისყური, მისი ორგანიზატორული მუშაობა, მასების მთელი შემოქმედებითი ენერგია წარმართულია ამ დიდი ამოცანების გადაწყვეტისაკენ.

პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დაცვისა და მასებთან კავშირის განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის კონკრეტული საკითხების განხილვას მიეძღვნა სკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.), მარტისა და სექტემბრის (1965 წ.) პლენუმები, რომელთა გადაწყვეტილებანი მოიწონა და მორიგი საბრძოლო ამოცანები დასახა პარტიის XXIII ყრილობამ.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ნათელ გზაზე წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება მიმდინარე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება. აი რატომ არის, რომ პარტია მასებში დაუცხრომელ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა, ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას. კომუნისტებისაგან მოითხოვა იდგნენ იქ, სადაც მეტი სიძნელეა და ბეჯითი შრომის პირად მაგალითს აძლევდნენ მასებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტის პირადი მაგალითი დიდი ძალაა. 1968 წლის 1 იანვრისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია 13.180.225 კომუნისტს აერთიანებდა. ეს დიდი არმიაა იმისათვის, რომ სათავეში ედგეს და წინ მიუძღოდეს, მოუწოდებდეს და კარგ მაგალითს აძლევდეს, რაზმავდეს და აღაფრთოვანებდეს კომუნიზმის მშენებელ მასებს.

ხუთწლედის დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში, ფართო მასების შემოქმედებითი ენერგიის აღძვრის საქმეში მეტად დიდია კომუნისტური შრომის დამკვრელების, ჩვენი ნოვატორების, სოციალისტური შრომის გმირების, სახელგანთქმული კომუნისტების: ეთერ სოლომონიას, თამარ ყუფუნიას, ტატიანა ჩხაიძის, დარეჯან ტაკიძის, ვინარი სხულუხიას და სხვების დამსახურება, მათი პირადი მაგალითის მნიშვნელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორგანიზატორი

პარტია მასებთან კავშირს განამტკიცებს, მშრომელებს რაზმავს და მათი კომუნისტური აღზრდისათვის ზრუნავს უწინარეს ყოვლისა პირველადი პარტიული ორგანიზაციების, საამქროთა პარტორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების მეშვეობით. აი რატომ არის, რომ იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების, მათი ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას.

პარტიის XXIII ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ნათქვამია: „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას. პარტიული კომიტეტები მტკიცედ უნდა ეყრდნობოდნენ მათ, ეხმარებოდნენ შინაპარტიული მუშაობის მოწესრიგებასა და მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობის გაშლაში“.

პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლება და კომუნისტების აქტივობის გაძლიერება იმიტომაც არის საჭირო, რომ კომუნისტური მშენებლობის ტემპის ზრდასთან დაკავშირებით სულ უფრო იზრდება პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლი და მნიშვნელობა.

მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის, მათი დარაზმვისა და კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის პარტია უნარიანად იყენებს ისეთ აღმძრავ ღვედებს, როგორიც არის მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, პროფკავშირები, კომკავშირი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც სწორი პარტიული ხელმძღვანელობით თვალსაჩინო როლს ასრულებენ კომუნიზმის მშენებლობაში.

საზოგადოებრივი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების განმტკიცებისათვის რომ ზრუნავს, პარტია იყენებს ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის მისთვის დამახასიათებელ მეთოდებს, ასრულებს პოლიტიკური ხელმძღვანელის საპატიო როლს.

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის მეტად მნიშვნელოვანი უბანია მასების იდეური აღზრდა, კომუნისტური რწმენის განმტკიცება, რევოლუციური სიფხიზლის განვითარება, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ დაუცხრომელი ბრძოლა.

ცნობილია, რომ ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. სულ უფრო ძლიერდება იმპერიალიზმის აგრესიულობა და თვითნებობა, მიმართული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების წინააღმდეგ. ასეთი აგრესიულობისა და ძალადობის ნათელი გამოხატულებაა ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ გაჩაღებული ბარბაროსული ომი მშვიდობისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ამასთან, მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, რომ ასეთ ომებში ისინი წარმატებას ვერ აღწევენ, დიდ ზარალს ნახულობენ, დამარცხებას განიცდიან.

იარაღის ძალით რომ ვერ ახერხებენ თავიანთი მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას სოციალისტური ქვეყნების მიმართ, მსოფლიო რეაქციის ძალები, კერძოდ ამერიკელი იმპერიალისტები ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იდეოლოგიურ ბრძოლას. გამალებით ეწევიან ანტიკომუნისტურ პროპაგანდას, იყენებენ დაშინებისა და მოსყიდვის მეთოდებს, მიმართავენ იდეოლოგიურ დივერსიებს.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხოლოდ ერთი დაწესებულება — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელსაც პროფესიონალ ჯაშუშთა 20-ათასიანი არმია ჰყავს, წელიწადში 1,5 მილიარდ დოლარს ხარჯავს ძირგამომთხრელ საქმიანობაზე. ამერიკელი იმპერიალისტები იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად იყენებენ პოლიტიკური ინფორმაციის უზარმაზარ აპარატს, რისთვისაც სახსრებსა და ადამიანებს არ ზოგავენ.

სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისა და მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლის ახლანდელ პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძალთა შემჭიდროებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების ღონისძიებათა განხორციელებას, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებას.

სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა, რომელმაც განიხილა საკითხი — „საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „შეურიგებელ ბრძოლას მტრულ იდეოლოგიასთან, იმპერიალიზმის ხრიკების გადამწყვეტ მხილებას, სკკპ წევრებისა და ყველა მშრომელის კომუნისტურ აღზრდას, პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ყველა პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა“.

იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანია კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინური განათლება. მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნა ადამიანს უნერგავს და განუმტკიცებს კომუნისტურ რწმენას, რევოლუციურ სიფხიზლეს, მტრული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობას, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას.

ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — „კომუნისტებისა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური განათლების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების საპატიო მოწოდებაა ენერგიულად იბრძოლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, აღზარდონ მასები რევოლუციური სიფხიზლის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშით, ლენინის საქმისადმი ერთგულებით პარტია კვლავაც განამტკიცებს მასებთან კავშირს, დარაზმავს და აღაფრთოვანებს მათ კომუნისტურ მშენებლობაში მორიგ წარმატებათა მოსაპოვებლად.

**აკაკი ჩავლეიშვილი,**

**ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლმეურნეობის კანტორა

**გული მივცეთ გულისათვის**

# ამბავი სიყვარულისა

მინდა გიამბოთ საოცრად ლამაზი სიყვარულის ამბავი. ვერ გეტყვით, რომ ამ მეგობრობის შესახებ არაფერი გაგეგონოთ, მით უფრო, რომ ეს ურთიერთობა აგერ 30 წელია გრძელდება და თვით „პრავდამაც" კი მიუძღვნა მას გულთბილი წერილი, ხოლო რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე არაიშვიათად გვხილავს წერილები ამ მეგობრობის შესახებ.

დიახ, ეს ასეა, მაგრამ ამბავი იმდენად საინტერესო და მრავლისშემცველია, რომ საგაზეთო წერილში კი არა, ბარე ოცფორმიან წიგნს უზის რა ხანია ამ მეგობრობის სათავის დამდები მიხაკო ორაგველიძე და იმ წიგნშიც არ მიაჩნია ყველაფერი დასრულებულად, ყველა სათქმელი ნათქვამად.

მეც მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გიამბობთ, რომლებიც მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეთა ნაამბობიდან უფრო დამამახსოვრდა და რომლებშიც როგორც სარკეში, ისე ჩანს ჩვენი ხალხის კეთილი გული და ლამაზი სული.

• • •

სოფლის ყველაზე ლამაზ, მწვანე გორაკზე კვარცხლბეკია აღმართული, რომლისთვისაც ხარაჩო ჯერაც არ შემოუხსნიათ. ამ ადგილას დაიდგმება ორი ხალხის — უკრაინელთა და ქართველთა მარადიული მეგობრობის მღაღადებელი ძეგლი.

ძეგლის შექმნა ამ სოფლის მკვიდრს, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს ვასო მეავანაძეს მიანდეს.

ომის ქარცეცხლიან დღეებში ვასო სულ პატარა ბიჭი იყო. ბავშვის გონებაში დღემდე ცოცხლადაა აღბეჭდილი მძიმედ დაჭრილი პირველი უკრაინელი ჯარისკაცის ჩამოსვლა სოფელში და ის ზრუნვა, რასაც მისი სოფელი ამ ჯარისკაცის მიმართ იჩენდა. განსაკუთრებით მკვეთრად ახსოვდა დაღლილი, შეწუხებული, გაფითრებული სახე და მწიფე პურის თავთუხისფერი რბილი ქოჩორი.

ისე ახსოვდა, რომ თუმცა მას შემდეგ ოც წელზე მეტი გავიდა, „სადმე რომ შემხვდეს, უთუოდ ვიცნობო", — ფიქრობდა ვასო.

და აი, როცა მას ესოდენ დიდი პატივი ხვდა წილად — ქვაში გაეცოცხლებინა ორი ხალხის მეგობრობა, ჭაბუკს ის პირველი ჩვენება დაუდგა თვალწინ, ვეღარ მოიცილა და პირველსავე ესკიზში ის სახე აღადგინა, შემდეგაც ვერ შეელია მას და ასე გადავიდა ქვაში, უკვდავებაში, ასე იქცა მეგობრობის სიმბოლოდ გურიის ამ სტუმართმოყვარე სოფელში ჰოსპიტალიდან მოსული ის უკრაინელი ჯარისკაცი.

მაგრამ ეს შემდეგ იყო.

პირველად კი ასე დაიწყო:

გაზეთ „პრავდაში", „ზარია ვოსტოკასა" და „სოვეტსკაია უკრაინაში" გამოქვეყნდა მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილი — გამოწვევა უკრაინელი კოლმეურნეებისადმი.

პასუხს არ დაუგვიანია.

საპასუხო წერილებში უკრაინელები მეგობრობის სურვილს გამოთქვამდნენ, სოციალისტურ შეჯიბრებაში ებმებოდნენ, წერდნენ თავიანთი კოლმეურნეობის წარმატებებსა და ცალკეულ ნაკლოვანებებზე.

ეს იყო 1938 წელი.

მახარაძის რაიონში სტუმრად მოიწვიეს ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნოს კოლმეურნეები.

მასპინძლებმა ისურვეს სტუმრებს ღირსეულად შეხვედროდნენ. ჯერ თავის საქმეს მიხედეს, მეჩაიეებმა ურთიერთშორის სოციალისტური შეჯიბრება გამოაცხადეს.

და აი, სტახანოველ ზინა კაჭარავას პირველი რეკორდი — ერთ დღეში 60 კილოგრამი ჩაის ფოთოლი! ზინას რეკორდი გაიმეორეს ქსენია ბაბილოძემ, კატო ჩხაიძემ, ნადია ცინარიძემ.

უკრაინელთა წერილებში კი თვალუწვდენი პურის ყანების სუნთქვა ისმოდა, მაშინ მათაც სარეკორდო მოსავალი — ჰექტარზე 24 ცენტნერი პური აიღეს.

ეს სიყვარულიანი შეჯიბრება ახალ-ახალ შრომითს ენთუზიაზმს ჰბადებდა მეგობ-

რებში, სტახანოველთა ახალ გვარებს წარმოაჩენდა, საქმიან მეგობრობას განამტკიცებდა.

ეძებდნენ რა გზით შეიძლებოდა უკეთ ემუშავათ, სამშობლო ესახელებინათ. მაშინ სოფელ შრომაში ბევრი საუკეთესო თაოსნობა იშვა. მანამდე მთელი რგოლი მუშაობდა ერთ პლანტაციაში. ვისაც რა ნაკვეთი მოხვდებოდა, იქ კრეფდა.

ერთ-ერთ კრებაზე ითქვა და გადაწყდა პირველად: ჩაის ნაკვეთები თითოეულმა გავიპიროვნოთ და ისე ვიმუშაოთო.

ეს უცხოდ მოეჩვენათ, მაგრამ მეჩაიე ქალი ლეო გაგუა მტკიცედ იდგა თავის სიტყვაზე.

— ვცადოთო, — თქვეს სოფელში.

მალე დარწმუნდნენ ამ წინადადების სისწორეში, ხოლო მისი ავტორი ლეო გაგუა, დღეს ყველასგან პატივცემული დროული ქალი, სოციალისტური შრომის გმირია.

ახლა ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ რაღაც ოცდაათიოდე წლის წინ არ იცოდნენ ჩაის ორივე ხელით კრეფა.

ასე კი იყო, და სწორედ იმ დღეებში, როცა შრომელი კოლმეურნეები ცდილობდნენ საუკეთესო მაჩვენებლებით დახვედროდნენ უკრაინელ მეგობრებს, სრულიად ახალგაზრდა გოგონამ ტატიანა ჩხაიძემ პირველმა სცადა ორი ხელით კრეფა.

გამოვიდა.

ეს იყო დიდი პროგრესი.

ფაქტიურად ეს მუშახელის ორჯერ გაზრდას მოასწავებდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხაკო ორაგველიძეს სიხარულისაგან იმ კვირაში ძილი გაუტყდა.

გეგმა ორმაგად უსრულდებოდა.

მეგობრების მისაღებად სოფელში საგზაო ათდღიური გამოაცხადეს, წესრიგში მოიყვანეს, გაალამაზეს სოფელში შემოსასვლელი გზები.

და აი, ძვირფასი მეგობრების მისაღებად ფართოდ გაიღო ყველა ოჯახის კარი...

ვინ იფიქრებდა, თუ მეგობართა მიმოსვლას რამე შეწყვეტდა. მაგრამ... ავად მოიქუფრა ცა და უკრაინელი მეგობრების მიწაზე სასურველი სტუმრების ნაცვლად ფაშისტების მძიმე ჩექმები აბრახუნდნენ.

• • •

მაშინ უნდა ძმა და თვისიო, — ბრძანებს შოთა.

ხალისიანი, მხნე, კოლექტიური წერილების ნაცვლად შრომაში რუხი სამკუთხედი წერილი მოფარფატდებოდა დროდადრო, სადღა ისმოდა ამ წერილებში თვალუწვდენელი პურის ყანების მწიფე თავთავთა შარიშური, მშვიდობიანი შრომით გამოწვეული სიხარული.

წერილებში იყო შეშფოთება, სევდა, შურისძიების წყურვილი გადამწვარი ყანებისათვის, დაბომბილი, შერუჯული თეთრი ხატებისათვის, სადღაც გაფანტული ან დახოცილი ცოლ-შვილისა და დედმამისათვის.

„მიხაკო, თქვენთან ხომ არ ჩამოსულა ჩემი ვაჟი?"

„მიხეილ ფილიპეს ძე, თქვენთვის ხომ არ მოუწერია ჩემს დას, სად წავიდნენ?"

„ხომ არ მოუღწევია როვნოდან ვინმეს თქვენს სოფლამდე? იქნებ იცის ჩემი ცოლშვილის გზა-კვალი?"

ყოველი ასეთი წერილი გულს უმძიმებდა სოფელს, რომელსაც არც თავისი გასაჭირი აკლდა: ხან რომელ ოდაზე გამოჩნდებოდა შავი ქსოვილი და ხან რომელი გორაკიდან შეძრავდა შეძრწუნებული ქალის კივილი მთელს სოფელს.

და მაინც ამ გაჭირვების დროსაც არ ივიწყებდნენ მეგობრებს, სულგრძელად თავაზობდნენ ჰერისა და ლუკმის გაზიარებას.

„ძვირფასო მეგობრებო, ველით თქვენს ცოლებსა და შვილებს, როგორც ყველაზე ძვირფას სტუმრებს, მათთვის გავაჩენთ სიმინდსაც, ყურძენსაც, მაგრამ სად არიან ისინი?".

„მძიმედ დაჭრილი ჰოსპიტალში ვმკურნალობდი. მალე გამომწერენ ჰოსპიტლიდან. მაგრამ წასასვლელი არსად მაქვს. აღარავინ დამრჩა ჩემიანი თუ მიმიღებთ ხეიბარს, ჩამოვალ თქვენს კოლმეურნეობაში. ანტონ გოგოლენკო".

შემდეგ დამტვერილი, დაღლილი, გამხდარი და სახეშეცვლილი ვასილ ლავრენტიევი ჩამოვიდა პატარა ფუთით ხელში...

მერე მახარაძიდან სხვადასხვა ჰოსპიტლებში წავიდა ამანათები. გზავნიდნენ ვისაც რა შეეძლო: ნიგოზი და თბილი წინდები, ღვინო და ჰყინტი სიმინდის ფუჩეჩშემოუცლელი ტაროები (ეგებ ნედლად ჩააღწიოსო!).

უკრაინა სისხლისაგან იცლებოდა.

მაშინ ერთხელ კიდევ შედგა ხალხმრავალი კრება შრომაში და ის იყო მიხაკო ორაგველიძემ ხალხის თხოვნით უმაღლეს მთავარსარდალს ნებართვა სთხოვა შრომის კოლმეურნეთა მიერ შეკრებილი ფულით გააკეთონ ტანკების კოლონა და მიაკუთვნონ სახელი „უკრაინის განთავისუფლებისათვის".

შრომაში მოვიდა დეპეშა —

უმაღლესი მთავარსარდლის თანხმობა...

მაშინდელი ერთი მილიონი მანეთი ექვს ტომარაში მოათავსეს ბანკში წასაღებად, ხოლო ბანკში სამ დღეს ითვლიდნენ შრომელთა ამ დანაზოგს.

დიდი ხნის შემდეგ, როცა ფაშისტთა ურდოები განადგურებულ იქნენ, როცა ნელ-ნელა კალაპოტში ჩადგა ცხოვრება და მეგობრებს შორის მიმოსვლა განახლდა, უკრაინელმა მეგობრებმა უთხრეს შრომელ კოლმეურნეებს: „ჩვენთან შემოსულ პირველ ტანკებს ქართული წარწერები ჰქონდათ, ხოლო კოლონის მეთაური იყო პოდ-

ანატოლი ხამისკა და მარგო კვაჭანტირაძე შვილებით



ეროვნული ბიბლიოთეკა



**რუსუდან კვაჭანტირაძე, სოციალისტური შრომის გმირი, შურა კუბუხიძე და ჭუჭულა კვაჭანტირაძე.**

პოლკოვნიკი ნაფეტვარიძეო". ძმათა სასაფლაოზე ქართველებმა ნახეს უკრაინის გათავისუფლებისათვის დაღუპულ თანამემამულეთა საფლავები.

დღეს სოფელ შრომის მეგობრობის მუზეუმში სათუთად ინახება იმ საფლავებიდან აღებული თითო მუჭა მიწა.

მიხაკო ორაგველიძემ მაშინ თავის უბის წიგნაკში ჩაწერა, ახლა კი მალე გამოვა მისი წიგნი „ძმობის ხიდი", რომელშიც მოხსენებულნი იქნებიან ეს ქართველები.

მისი ნებართვით, ჟურნალის მკითხველებსაც გავაცნობ მათ გვარებს, ვინც უკრაინის გათავისუფლებას შესწირა თავი. იქნებ მათ შორის თქვენი ახლობლებიც არიან?

**მუქერია კონსტანტინე გრიგოლის ძე — უფროსი ლეიტენანტი,**

**ციცქიშვილი იოსებ ივანეს ძე — კაპიტანი,**

**ბერძენიშვილი ზურაბ გრიგოლის ძე — უფროსი სერჟანტი,**

**ძაგნიძე შოთა ლავრენტის ძე — ტანკისტი,**

**გოგელია ალისტრახო ეპიფანეს ძე — ტანკისტი,**

**თაბაგარი ივანე ვასილის ძე — ტანკისტი,**

**ხიხაძე გრიგოლ ვლადიმერის ძე — ტანკისტი.**

რა სიმბოლურია, რომ სწორედ ქართველებმა გაათავისუფლეს უკრაინის ის კუთხე, სადაც ამ ორი ხალხის მეგობრობის აკვანი დაირწა.

* * *

ეზო ჩვენებურია, ქართული. კიბესთან პალმას გაუშლია მარაო. აქეთ-იქეთ ფორთოხლის ბაღია. ეზოში ჭა და აუზია.

აუზი, რაღა თქმა უნდა, თევზითაა სავსე. სახლთან ახლოს კი სკებია.

ყველაფერს ეტყობა, ამ სახლში გამრჯე ადამიანები ცხოვრობენ.

სახლი გორაკზე დგას. ჭიშკრიდან კარგა დიდი მანძილია. „იზაბელას" ხეივანში მსუბუქი მანქანა დგას.

— მასპინძელო!

— მობ-ზან-დით! — გამოგვეგება მოხუცი ქალი. ჩვენ სტუმრად ვართ ალექსანდრე სამისკოს ოჯახში.

ერთი წლის იყო ალექსანდრეს უფროსი ვაჟი ანატოლი, როცა ისინი შრომაში ჩამოვიდნენ, ერთი პატარა ბოღჩით, რომელშიც პატარა ანატოლის უკრაინულად მოქარგული ორიოდე პერანგი და პირსახოცი იდო.

მას შემდეგ თითქმის 30 წელმა განვლო. ქართველი მეგობრების დახმარებით დამკვიდრდა უკრაინელი კაცი ქართულ მიწაზე.

გარშემო ტყე ამოძირკვეს. მანდარინი და ფორთოხალი ახარეს.

დიდებული სახლი ააშენეს.

ანატოლი გაიზარდა. დავაჟკაცდა, იქორწინა.

მარგო კვაჭანტირაძე, ანატოლის მეუღლე, იღიმება.

— ჩვენ სახლში ყველაფერი ქართულად კეთდება, ქორწილიც, სადილიც.

თეთრად გაფეთქილ კედელზე თეთრი ხელსახოცია წითელი ძაფით ნაქარგი. ორნამენტი უკრაინულია.

— უკრაინელი ვარ, — გვითხრა ანატოლის უფროსმა ქალიშვილმა ნონამ.

— იცი უკრაინული?

— ქართული უკეთესად ვიცი.

— ედა, დე-და, და-და! — ენას იკვეთს შვიდი თვის თამილა, ერთად-ერთი, რომელიც ამ ოჯახში სელისფერი თმითა და ლილილოსფერი თვალებით ყველაზე მეტად ჰგავს უკრაინელს.

— ჩუმად, ნენა! — აჩუმებს ბებია და ამბობს: — ყველაფერი ქართულად იცი, რაც სხვა აკეთებს, მეც ის აკეთებს და ისწავლე.

ამბობს და თან მორცხვად იღიმება.

ანატოლის და აქვე გათხოვილა, გურამ ბაზაძის ცოლი გამხდარა. მისი გოგონები ამბობენ:

— აბა რა, ჩვენ ქართველები ვართ!

* * *

სოფელში ერთ ბაღს განსაკუთრებით სათუთად უვლიან, ეს „მეგობრობის ბაღია".

ყოველწლიურად ამ ბაღში დაკრეფილი 15-18 ტონა ფორთოხალი როვნოში იგზავნება. საახალწლოდ ყველა ოჯახში ნახავთ ქართულ ფორთოხალს, ლიმონს.

„მეგობრობის ბაღის" გარდა აქ „მეგობრობის ფერმაც" აქვთ.

უკრაინელთა დამსახურებაა, რომ ფერმაში ჯიშიანი საქონელი ჰყავთ და წველადობის გეგმა გადაჭარბებით სრულდება.

პირველად ველის წითელი ჯიშის 30 ძროხა გამოგზავნეს მეგობრებმა. მერე — ფერმის მთლიანი მექანიზაციისათვის საჭირო მოწყობილობა. შემდეგაც არ მოუკლიათ ყურადღება.

ორი სოფლის მეგობრობამ მალე მთელი რაიონი მოიცვა.

მახარაძელებმა გენიჩესკელებს გაუგზავნეს და ახარებინეს ციტრუსი, ხეხილი, გაამწვანეს მთელი ხერსონის ქუჩა.

ასე გადაიშალა საბჭოეთის ხალხთა მეგობრობის ერთი ლამაზი ფურცელი.

**ნარგიზა მგელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკრაინული თეატრის მშვენება



უკრაინული თეატრალური ხელოვნება მდიდარია ბრწყინვალე შემოქმედთა სახელებით. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ უკრაინის XIX საუკუნის მეორე ნახევრის თეატრს „კორიფეთა თეატრს“ უწოდებდნენ და ამ თეატრის უმშვენიერესი ვარსკვლავი გენიალური მარია ზანკოვეცკაია იყო. ზანკოვეცკაიას ბრწყინვალე ნიჭმა მოაჯადოვა აკაკი წერეთელი, ლადო მესხიშვილი, შალვა დადიანი და მრავალი სხვა ქართველი მოღვაწე.

სწორედ ამ დიდოსტატის ტრადიციების განმგრძობად, განმავითარებლად ითვლება საბჭოთა სცენის ერთ-ერთი შესანიშნავი შემოქმედი ნატალია მიხეილის ასული უჟვი...

სსრკ სახალხო არტისტი, სიხელმწიფო პრემიების ლაურეატი ნატალია უჟვი ხალხის სიღრმიდან მოვიდა უკრაინულ სცენაზე. იგი დაიბადა ხელმოკლე მოსამსახურის ოჯახში, უკრაინის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, ლესია უკრაინკას სამშობლო ვოლინში. ბავშვობიდანვე განიცადა მან სიღარიბე, გაჭირვება, იმთავითვე დაინახა თავისი ხალხის უუფლებობა და სიღატაკე. ამიტომაც შემდეგში, სახვლმოხვეჭილი შემოქმედი ყოველთვის დიდი სიმართლით და დამაჯერებლობით ხატავდა ავბედითობით გატანჯულ გლეხთა ტრაგიკულ სახეებს, შეჰქონდა ყოველ სახეში პროტესტისა და შეურიგებლობის მოტივები.

რევოლუციამდე ნატალია უჟვი სოფლის სკოლის მასწავლებელი იყო, თავდავიწყებით თამაშობდა სცენისმოყვარულთა წარმოდგენებში. 1921 წელს მან გაიცნო უკრაინის სცენის ერთ-ერთი კორიფე ი. ა. მარიანენკო. დიდი მსახიობის რჩევამ საბოლოოდ გადაწყვიტა მისი ბედი. ნატალია უჟვი პროფესიული მსახიობი გახდა, თამაშობდა კიევის შევჩენკოს სახელობის დრამატულ თეატრში, შემდეგ ოდესაში, ხარკოვში, სადაც „ბერეზილის“ თეატრს სათავეში უდგა დიდი რეჟისორი ლეს კურბასი.

ხანგრძლივი სასცენო მოღვაწეობის მანძილზე, ნატალია უჟვიმ შექმნა მრავალფეროვანი და ღრმად ეროვნული სახეების გალერეა. თითქოს ზანკოვეცკაიამ „უანდერძა“ მას ისეთი სახეები, როგორიცაა მარუსია (დრამა „ნუ წახვალ, გრიცუ“), ვარკა („უბედური“), მარუსია ბოგუსლავკა და სხვა. მაგრამ ნატალია უჟვის ინტერესთა წრე უფრო ფართო გახლდათ, არ იყო შემოფარგლული ეროვნული რეპერტუარით, იგი გატაცებით თამაშობდა მოლიერისა და შექსპირის გმირ ქალებს, გუცკოვის ივდითს, პუშკინის მარინა მნიშეკს, ოსტროვსკის იულია ტუგინას, მ. გორკის სოფიას.

ღრმად დრამატული მსახიობი, რომელიც ტრაგედიის მწვერვალზე ავიდა ანას როლში (ი. ფრანკოს პიესა „მოპარული ბედნიერება“), ნატალია უჟვი საოცარი სიმსუბუქითა და ჭეშმარიტი კომედიურობით ანსახიერებდა შექსპირის ბეატრიჩეს („აურზაური არაფრისათვის“), ანა ანდრეევნას („რევიზორი“), ნატალია კოვშიკს (ა. კორნეიჩუკის „ძახველის ჭალა“) და სხვა. ფართო აქტიორული დიაპაზონი, საოცარი სცენური მომხიბვლელობა, ლირიზმი, მუსიკალური; გულში ჩამწვდომი ხმა, თანდაყოლილი გრაცია და პლასტიურობა, განცდის სიღრმე, გრძნობათა სიმართლე, ტემპერამენტი — ყველაფერი ეს გახდა საფუძველი მსახიობის დიდი წარმატებისა არა მარტო უკრაინელი, არამედ მთელი საბჭოთა მაყურებლისათვის.

ნატალია უჟვი ფართოდაა ცნობილი კინომაყურებლისათვისაც, იგი მონაწილეობდა მთელ რიგ ფილმებში; თამაშობდა ტარასის დას ფილმში — „ტარას შევჩენკო“, დიდი წარმატებით განასახიერა უბრალო რუსი ქალი ევდოკია ცნობილ ფილმში „ვიბორგის მხარე“. სამამულო ომის წლებში, ვ. ვასილევსკაიას ნაწარმოების მიხედვით გადაღებულ პატრიოტულ, ანტიფაშისტურ ფილმში „ცისარტყელა“, გასაოცარი შთაგონებით განასახიერა უკრაინელი კოლმეურნე ქალი ოლენა, რომელსაც ფაშისტმა მტაცებლებმა დაუნგრიეს ოჯახი, წაართვეს ბედნიერება, ფეხმძიმე ქალი არაადამიანურად აწამეს და თვალწინ ჯალათურად მოუკლეს ახლადდაბადებული ბავშვი. უჟვის ოლენა ილუპებოდა გაუტეხავი, დაუმორჩილებელი, იგი უკრაინელი ქალის დედობის

ჭეშმარიტი განსახიერება იყო, თვით სიკვდილშიაც სიცოცხლეს იცავდა და ამკვიდრებდა გამარჯვების ოპტიმისტურ იდეას. ნატალია უჟვის ჭეშმარიტად ხალხურმა, განუმეორებლად ორიგინალურმა შემოქმედებამ ქართველი მაყურებელიც დაიპყრო.



ნ. უჟვი კინოფილმში „პრომეთე“

დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი მას უკრაინის საუკეთესო ოსტატთა შორის ასახელებდა. საქართველოს პრესა საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობს აღფრთოვანებულ ქებას ასხამდა. სსრკ სახალხო არტისტი აკ. ვასაძე, თვლის რა ნ. უჟვის შემოქმედებას ღრმად ეროვნულად, ამავე დროს აღნიშნავს ამ შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო, ინტერნაციონალურ ხასიათს, ე. ი. იმას, რამაც ესოდენ ახლობელი და გასაგები გახადა საერთოდ უკრაინელ მსახიობთა, და, კერძოდ, ნატალია უჟვის შესანიშნავი შემოქმედება ქართველი მაყურებლისათვის. „მე არასოდეს დამავიწყდება ნატალია უჟვის ღრმად ტრაგიკული ანა, საოცრად მომხიბვლელი, ადამიანური“, — ამბობს „მოპარულ ბედნიერებაში“ უჟვის თამაშის შესახებ აკ. ვასაძე.

ნატალია უჟვიმ, თავის მხრივ, დიდად შეიყვარა საქართველო, მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებს მას ჩვენი თეატრისა და ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებთან. იგი თაყვანისმცემელია ვერიკო ანჯაფარიძის, აკ. ხორავას, აკ. ვასაძის, თამარ ჭავჭავაძისა და სხვა ქართველ ოსტატთა ნიჭისა. აკ. ხორავასადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში უჟვი წერს:

„ხშირად ვიგონებთ ჩვენს მეგობრულ შეხვედრებს, თქვენი შესანიშნავი თეატრის ხანმოკლე სტუმრობას ჩვენთან, კიევში. წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეთ პირადად თქვენ და მთელმა თქვენმა თეატრმა ჩვენზე, ფრანკოელებზე და ყველა იმაზე, ვისაც ესმის და უყვარს თეატრი“...

1932 წელს „ბერეზილის“ თეატრმა უკრაინულ ენაზე წარმოადგინა შალვა დადიანის „თეთნულდი“. ამ სპექტაკლში ნატალია უჟვი თამაშობდა ლახილს, გელახსანის მეუღლეს. ამ როლს დიდი მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, შესაძლოა, განსაკუთრებული ადგილი არ უკავია (მით უფრო, რომ თვით სპექტაკლიც არ იყო დიდი შემოქმედებითი წარმატებით აღნიშნული), მაგრამ ის ფაქტი, რომ მსახიობი უდიდესი მონდომებით, გატაცებით მუშაობდა როლზე და პირველმა განასახიერა უკრაინულ სცენაზე ქართველი ქალის სახე, თავისთავად საყურადღებოა.

არ შეიძლება არ შევეხოთ იმ ფაქტსაც, რომ, როდესაც 1937 წელს ჩვენმა თანამემამულემ, უკრაინული ხელოვნების ცნობილმა მოღვაწემ ი. კავალერიძემ, უკრაინელ და ქართველ მსახიობებთან ერთად, საქართველოში შექმნა ფილმი „პრომეთე“, ამ ფილმში სსრკ სახალხო არტისტებთან — ლ. სერდიუკთან და ი. მარიანენკოსთან და ქართველ მსახიობებთან — ჩ. ერისთავთან, პ. მურღულიასთან, შ. ნოზაძესთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ როლს ბრწყინვალედ ასრულებდა ნატალია უჟვი.

ნატალია მიხეილის ასული უჟვი ი. ფრანკოს სახელობის თეატრში მუშაობასთან ერთად დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. 1954 წლიდან იგი უკრაინის თეატრალური საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარეა. ფართო ინტერესების ადამიანი, უჟვი, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში, ბევრს აკეთებს უკრაინისა და საქართველოს ხელოვანთა დაახლოვებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის, ხელს უწყობს უკრაინაში ქართული კულტურის პოპულარიზაციას. ამიტომაცაა, რომ საქართველოს თეატრების ყოველი გასტროლების დროს, ნატალია უჟვი, როგორც სტუმართმოყვარე დიასახლისი, ხვდება ქართველებს, აქტიურად მონაწილეობს სპექტაკლების განხილვაში, ბეჭდავს წერილებს ნახული წარმოდგენების შესახებ და სხვა.

შუქმფენი, ხშირ წამწამებში ტბებივით მოელვარე, ნაცრისფერი თვალები სითბოთია აღსავსე; მისი კეთილი, მომხიბვლელი ღიმილი გეალერსებათ; განუმეორებელი, საოცრად მუსიკალური ხმით ნატალია უჟვი ლაპარაკობს საქართველოზე, თავის იდუმალ ოცნებაზე — ითამაშოს სცენაზე ქართველი ქალი, ქართველი დედა ა. სუმბათაშვილის „ღალატში“. მასთან საუბრისას არ შეიძლება არ დაგიპყროთ მისმა ადამიანურმა და ქალურმა მშვენიერებამ, არ შეიძლება საპასუხო ღიმილი არ შეაგებოთ იმას, ვინც უკრაინული კულტურის მოღვაწეთა მოწინავე რიგებში დგას, ვინაც ასე უანგაროდ, მთელი გულით დაიმეგობრა და შეიყვარა ქართველი ხალხი და მისი ხელოვნება.

**ნადეჟდა შალუტაშვილი**

**რედაქციისაგან:** ა. წ. ოქტომბერში, უკრაინელმა ხალხმა და მასთან ერთად ჩვენი ქვეყნის მთელმა თეატრალურმა საზოგადოებრივობამ, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნეს გამოჩენილი უკრაინელი მსახიობის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის — ნატალია მიხეილის ასულ უჟვის დაბადების 70 წლისთავი.

ჩვენი რედაქციის კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია და ჟურნალის მკითხველები ულოცავენ სახელგანთქმულ მსახიობს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებენ ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს და ახალახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენთვის, ჩემო სევასტოპოლო!



საქართველოდან წასული თბომავალი განთიადზე სევასტოპოლის გარუჯულ ნაპირებს მიუახლოვდა... მგეზავი ტყვიებით იხაზებოდა ქალაქი. ცეცხლის ბოლქვებით იყო მოჩითული მისი გარეუბნები. გერმანელთა ბომბდამშენები გუნდებად დაბზუოდნენ აჩრჩოლებულ ცაზე და განუწყვეტლივ ისმოდა აფეთქებები.

ნაპირთან მიახლოვება გემს ხიფათს უქადდა და ნავებში ჩასხდომა უბრძანეს ჯარისკაცებს.

თოვდა. ნანგრევებად ქცეულ ქალაქში ჩახერგილი იყო გზები, ორმოები კი — წყლითა და გვამებით ამოვსებული. ამხანაგებთან ერთად დილის ბინდბუნდში ფრთხილად მიდიოდა ქართველი ქალიშვილი. თბილი ქუდიდან ბლუჯა-ბლუჯად მოუჩანდა შავი თმა და წაყინულ თითებს ნერვიულად იორთქლავდა.

ახალგაზრდა ექიმის ოცნებაში წინათ სულ სხვაგვარად იყო წარმოსახული ცხოვრების დიდ გზაზე გასვლის ნეტარი დღეები: თეთრი, უზადო ხალათი და მზით ავსილი პალატები, მავნე სენთან დაუნდობელი ბრძოლა და განკურნებულთა ბედნიერი ღიმილი, მაგრამ ქვეყანა ერთბაშად გადაბნელა ომის შავმა ღრუბელმა და ნათელი ოცნებაც იქვე ჩაიფერფლა. ქვეყნის ჭირი სხვებთან ერთად ქალიშვილმაც უყოყმანოდ გაინაწილა. და აი, ახლა ჭურვებისაგან გადახნულ ქალაქში, სადაც ტყვიამფრქვევების გაანჩხლებული კაკანი ყუმბარების გრიალში იკარგებოდა, გულდამძიმებული ექიმი სარდაფისკენ მიიკვლევდა გზას და დაჭრილები მიჰყავდა. დამხვდურებმა ვინაობა ჰკითხეს.

— ნადია ჩიხლაძე ვარ, საქართველოდან, — მოკლედ მიუგო ქალიშვილმა და საქმეში ჩაერთო. საქმე კი ბევრი იყო, შველას ითხოვდნენ დაჭრილები.

— ხედავთ, ექიმო, როგორ დაძვირდა სიცოცხლე. სული ტკბილია თურმე და ჩვენც მთელი ძალით ვიჭერთ მას, — ლუღლუღებდა ჭაღარა ჯარისკაცი, რომელსაც გადამსხვრეული ფეხი განგრენისაგან გალურჯებოდა და სადაცაა მუხლს ზემოთ ლახტს დაადებდა ქირურგი.

— ნუ შიშობთ, სიცოცხლე თქვენგან არსად წავა, ოღონდ გამხნევდით, — ნადიამ გავარვარებულ შუბლზე ხელი გადაუსვა.

გარეთ ზღვა ბობოქრობდა. ცივი სისინა ქარი ძვალრბილში ატანდა და ცეცხლის ხაზზე ტყვიების ნიაღვარი უმოწყალოდ ცელავდა სიცოცხლეს. ფოლადის მუშტად შეკრული სევასტოპოლი კი ცოცხლობდა. მისი ჩამოჩონჩხილი სასახლეები და ქვაღორღად ქცეული ნასახლარები ბარიკადებად იყო ქცეული. შენიღბულ ქვემეხებსა და ნაღმსატყორცნებს ალმური ასდიოდა. მათი გახურებული ჰილზებისაგან დნებოდა თოვლი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხრჩოლავდნენ სვასტიკიანი ტანკები. თუმცა მტერს ბევრი იარაღი, ტექნიკა და საჭურველი ჰქონდა და გზამოჭრილ საბჭოთა მეომრებს ძლიერ უჭირდათ, სევასტოპოლი მაინც იდგა, იდგა როგორც რისხვა და შურისძიება. მზაკვრობითა და ვერაგობით მიღწეულმა გამარჯვებებმა ფრთები შეასხა ჰიტლერელთა შავ ფიქრებს. ჯერ კიდევ ომის დაწყების პირველ დღეებში დაიტრაბახეს თურმე:

— სამ დღეში თუ არა, ერთ კვირაში სევასტოპოლი ჩვენს წინ დაიჩოქებს და გრაფის აგარაკზე შამპანურს მივირთმევთ. მაგრამ ანგარიშში მოტყუვდნენ. მას შემდეგ ბევრი დღე და კვირა დაიკეცა და ბევრმა ფაშისტმაც სევასტოპოლის მისადგომებთან უსახელოდ დაამთავრა სიცოცხლე. ციხე-ქალაქი კი კვლავ ცოცხლობდა, ცოცხლობდა, რადგან მას რკინისნერვებიანი გოლიათები იცავდნენ, ცოცხლობდა, რადგან ის იყო გმირობისა და ვაჟკაცობის ქალაქი, ყველა ზღუდეზე კლდესავით იდგნენ მისი დამცველები, ხოლო ირგვლივ აფეთქებებისაგან ალისქარი იდგა და იწვოდა ზღვა, ხმელეთი; იწვოდა ყველაფერი, რასაც ცეცხლი წაეკიდებოდა. მიწისქვეშა სარდაფში კი, სტეარინის სანთლების მოცახცახე შუქზე, სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ ქირურგები. მათ შორის იყო დოლბანდით პირაკრული ექიმი ნადია ჩიხლაძე.

— თქვენი ამაგი ჩემზეა, დაო, სიკეთეს ქვიშხეთში გადაგიხდით. მესტუმრეთ, ძროხას დაგიკლავთ, — გულუხვ მასპინძლობას პირდებოდა თავის მკურნალს ფეხებმოყინული ჯარისკაცი. ნადია იღიმებოდა, თვალის უპეებზე სიბრალულის ცრემლი უბრწყინავდა და უთქმელი სიტყვაც ყელში ებჯინებოდა: „მიაღწევ კი ქვიშხეთამდე?"

ნადია ჩიხლაძე, როგორც ბაქტერიოლოგი, ჯერ დივიზიის, შემდეგ არმიის კლინიკურ ლაბორატორიაში გადაიყვანეს სამუშაოდ. სამუშაო ბევრი იყო, ძალიან ბევრი, თუმცა ახალგაზრდულ ჯანსა და თავდადებას მუდამ გააქვს ლელო. ჩიხლაძემ თავი ისახელა. მეთაურთა ჯილდო და მადლობა დაიმსახურა.

მუხლამდე სისხლში იდგა სევასტოპოლი და აი ამ ძნელბედობის ჟამს მას ახალი უბედურება დაატყდა თავს: ჯარის ნაწილებში ინფექციურმა დაავადებამ იფეთქა. მის ამოსაფესვად ღაირაზმნენ მედიცინის მუშაკები. ბაქტერიოლოგი ჩიხლაძე პირველთაგანი გავიდა ცეცხლის ხაზზე და მანამ არ დაუტოვებია საკარანტინო ზონა, ვიდრე საშიშროებამ უკან არ დაიხია.

— არ მეგონა ქართველი ქალიშვილები ასეთი მამაცები თუ იყავით, — შეაქო იგი ოდესელმა პროფესორმა გოფმანმა. ექიმ ჩიხლაძისათვის ყოველგვარ ქება-მადლობაზე მაღლა თავისი წმინდა მოვალეობა იდგა.

მდგომარეობა დღითიდღე იძაბებოდა. ფოლადის გახურებული ნიაღვარი სულ უფრო ძლიერდებოდა და ულმობელი სალტეც დღითიდღე უჭერდა გმირ ქალაქს. მის დატოვებ ზე მაინც არავინ ფიქრობდა. ყორღანებსა და ბარიკადებთან უსაყვედუროდ კვდებოდნენ მისი დამცველები და ნადიას სულაც არ გაჰკვირვებია, მძიმედ დაჭრილმა მეზღვაურმა, სანიტარულ ნაწილში წასვლაზე უარი რომ უთხრა მედდას:

— შენთვის, სევასტოპოლო, მხოლოდ შენთვის... — გამხმარი ტუჩებით ჩურჩულებდა იგი და უკანასკნელ ძალას იკრებდა, რომ ხელყუმბარა მიზანში მოერტყა.

ნერვები დაწყვეტამდე იყო დაჭიმული: ირგვლივ მძვინვარებდა ტყვიებისა და ჭურვების ქარაშოტი. იწვოდა სევასტოპოლის საქვეყნოდ ცნობილი პანორამა. ეს დიდებული ძეგლიც არ დაინდო ვანდალთა მოდგმამ. ნადია სხვებთან ერთად ტიროდა, თუმცა მას არასოდეს ენახა ეს პანორამა, მაგრამ ბევრი, ძალიან ბევრი რამ სმენოდა ამ მსოფლიო შედევრზე.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას ოცნებობდა გოგონა, როცა ექიმი დადგებოდა, ფოტოაპარატით ზღვისპირეთი მოევლო, მაგნოლიებისა და ბამბუკის ჭალებში ენებივრა, საკუთარი თვალით ენახა სევასტოპოლის პანორამა და აჰა, დღეს იწვოდა, ინაცრებოდა ხელოვნების ეს დიდებული ტაძარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტერმა გაარღვია თავდაცვის ზღუდე და პირველ სანგრებში გაიმართა ხელჩართული ბრძოლა.

250 დღის ნაბრძოლ-ნაჭრილობევი სევასტოპოლი დაეცა...

აფეთქებებმა ზღვის ნაპირთან მიამწყვდია ევაკუაციის მომლოდინე დაჭრილები და მათი მკურნალთა ჯგუფი. უცებ თავზარი დაეცა ყველას. დაგეშილი ნაგაზებივით გარს შემოერტყნენ ტევტონთა ნაშიერნი და ცემა-ტყეპით ზღვას მოაშორეს ტყვეები. მძიმე დაჭრილები ავტომატთა ჯერებით ამოხოცეს...

შავგვრემანსა და თმახუჭუჭა ქალიშვილს ავად მიაჩერდა ფაშისტის ცივი, ჭროლა თვალები, ბოლოს ტუჩები შეარხია და ზიზღით თქვა: „ეს ებრაელი ქვეყანას ამძიმებს“, და მისი მოსპობა ბრძანა. მაგრამ საბრალო ქალს აქ მხსნელად თავისი თანამემამულე აღმოაჩნდა. მან დამტვრეული გერმანულით დაარწმუნა ჯალათი, რომ ქალიშვილი ქართველი იყო და არა ებრაელი. ამჯერად საშინელ ხვედრს გადაურჩა ნადია, თუმცა, ვინ იცის, მომავალი რას უმზადებდა?

დაიწყო ტყვეობის შავბნელი დღეები. ათასი დამცირება, ტკივილი და სისაძაგლე იყო საბჭოთა ადამიანების მწარე ხვედრი, ხოლო როცა ტყვეებმა უარი თქვეს სვასტიკიანის სამოსის ჩაცმაზე, მათ მიმართ სისასტიკე კიდევ უფრო გაიზარდა.

სიკვდილ-სიცოცხლის კიდეზე იდგნენ ნადია და მისი მეგობრები და უსიხარულო დღეებს ითვლიდნენ. დღეები კი ტანჯვით მიიზლაზნებოდნენ. ტყვეებს სულ უფრო ღრმად, დასავლეთისკენ მიერეკებოდნენ. „ეს კარგის ნიშანიაო“, — ვარაუდობდნენ ზოგიერთები. შემდეგ გადარჩენის იმედმა იმატა. განმათავისუფლებელთა ომახიანმა ყიჟინამ ცა გაარღვია და კიდევ ერთხელ ასისინდნენ ფაშისტები, მაგრამ აჰა, დადგა მათი აღსასრულიც. მთელ მსოფლიოში გაისმა გამარჯვების ხმა, როგორც სიცოცხლისა და ბედნიერების დამკვიდრების ჰიმნი. ნატანჯ-ნაწამებ ადამიანებს ფერმკრთალსა და ჩაზნექილ ლოყებზე სიხარულის ცრემლები ჩამოუგორდათ.

კვლავ დაბრუნდა სიცოცხლე. ახლა ნადია ჩიხლაძე გერმანული ბურჟუის კეთილმოწყობილ აგარაკზე მკურნალობდა დაჭრილ საბჭოთა მეომრებს. მაგრამ მას სძულდა ეს აგარაკი და რბილი სავარძლები, სძულდა ოქროს ჩარჩოებიდან მზირალი ჭროლა თვალები და ფაფუკი ხალიჩები. იგი ახლა თავისი დაჭრილებით აქედან წასვლაზე ოცნებობდა. ოცნებაც მალე აუხდა.

ცხოვრება თავის მძლავრ კალაპოტში ჩადგა. ნადიაც მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა, კვლავ ჯანმრთელობის საგუშაგოზე დადგა. იგი თავის საპატიო მოვალეობას დღესაც პირნათლად ასრულებს მტკიცე ჯარისკაცივით, ჯარისკაცული ნათლობა ხომ მან სევასტოპოლში მიიღო!

**ლამარა გვაზავა-სანაძე**

# ახალი ლექსები

**ტაგუ მეგურიშვილი**

## ძახილი

ის დიდი ომიც იქცა წიგნებად,
იქცა ლექსებად და მოთხრობებად;
ის დიდი ომიც იქცა წიგნებად
და გვიჭირს მასთან გამოთხოვება,
რადგან დღესაც ვართ სულით მიბმული
ჩვენი ძმების და მამების სისხლთან;
რადგან დღესაც ვართ სულით მიბმული
მათთან, ვინც ჩვენში თავის თავს ზრდიდა;
რადგან ყურებში გვიწივის ექო
ხმების, რომლითაც ამხელდნენ სურვილს...
რადგან ყურებში გვიწივის ექო
ოცი წლის წინათ ნასროლი ჭურვის.
ის დიდი ომიც იქცა წიგნებად,
იქცა ლექსებად და მოთხრობებად;
ის დიდი ომიც იქცა წიგნებად
და გვიჭირს მასთან გამოთხოვება...
რამდენი ბიჭიც დაეცა ფრონტზე
გამცემლიძის და გასტელოს მსგავსი,
რამდენი ბიჭიც დაეცა ფრონტზე,
ვლეჭეთ იმდენი ბოლმა და ბრაზი.
რამდენი ქალიც,
რამდენი ბავშვიც
მომხვდურის ტყვიამ ულვთოდ მოცელა,
გულში იმდენი ნატვრა გაცივდა,
გულში იმდენი მოკვდა ოცნება.
ამიტომ გვესმის ასე გარკვევით
ვიეტნამელი დედის ვედრება;
ამიტომ ვხედავთ ასე გარკვევით
ალმოდებული ცის დაფეთებას.
ამიტომ ვუსმენთ რადიოს ლოცვით
და არ გვასვენებს ცუდი ზმანება...
ამიტომ მუდამ გაგვირბის ხელი
შორეულ მოძმის დასახმარებლად.
სხვა რომ არ იყოს, მილიონობით
გაცივებული კერა გვავალებს,
რომ გავუფრთხილდეთ ამ მზიან დღეებს,
არ ავატკივოთ მიწას სამარე.
სხვა რომ არ იყოს, მარტო სიცოცხლის,
მარტო მშვიდობის კმარა ძახილი,
რომ ქარქაშიდან ხამტროდ არასდროს
არ ამოფრინდეს ბასრი მახვილი!..

## ბარათი

წვიმდა დილიდან,
უსაშველოდ
წვიმდა დილიდან
და მოგონების
ღვარს მივქონდი
მსუბუქ ტივტივით...
მერე ბარათის
პაწაწინა
თეთრ გალიიდან
შემომაფრინდა
შენი სული
დაღლილ ჩიტივით.
შემომაფრინდა
და ოცნების
ტოტზე ჩამოჯდა,
და სმენას მიტკბობს
ციურ ჰანგით
ღვიძილში, ძილში...
შემომაფრინდა
და ოცნების
ტოტზე ჩამოჯდა
და მავსებს შიშით
წასვლის შიშით,
დარჩენის შიშით.

**ნანა გვარიშვილი**

## გვემღერება

ტალღა ჩემსკენ გამოიქცა,
გზად თოლიას ეფერება,
თეთრი, თეთრი გვირილები
მიმოფანტა სულ ღერებად.
— გემღერებათ?! — ვეკითხები.
მპასუხობენ —
გვემღერება!

## თეთრი წყარო

მხოლოდ ოცნება მაღალი,
სხვა არა მინდა — არა,
ჩემი ფიქალი ფიქრისგან,
ვიშენებ უცხო კარავს...
გულში ჩამდნარი თოვლისგან
თითქოს წამოვი ზვავი,
გაჩნდება თეთრი წყარო, და
წყურვილს მოიკლავს მგზავრი.

**სიმონ შამფრიანი**

## სამშობლოვ ჩემო, დიდება შენდა!

ლხინშიც და ჭირშიც
ძმათა გვერდით მდგარო პიტალოდ,
სიკეთის დროშავ უმაღლესო,
არა-მკვეხარავ,
იმედის, შვების, სიხარულის
ყველგან მიმტანო, —
დიდება შენდა,
საყვარელო ჩემო ქვეყანავ!
დიდება შენდა!
თავზე გადგას შუქის გვირგვინად
917, ოქტომბერი... დიდი ლენინი...
სიმართლემ შენმა
კიდით კიდე ისე იგრგვინა,
მუხლს გიდრეკავენ
მწვერვალები ცადაწვდენილნი.
უმხურვალესო სისხლო,
ღვიძლო მილიონების,
მშვიდობის დილავ,
მზის რაინდო,
ბინდისთვის ელდავ,
ქველო გუშაგო
წმინდა გულის,
ფიქრის, გონების, —
სამშობლოვ ჩემო,
სუნთქვავ ჩემო
დიდება შენდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი



იმ დღეს ჯონი სკოლაში არ მისულა. მასწავლებელს იგი არც შინ დაუხვდა; გულმა უგრძნო, ბიჭი ფეხბურთის მოედანზე იქნებაო, მის მშობლებს არაფერი უთხრა და ქალაქის ბოლოსაკენ გაემართა.

— გამარჯობა, ჯონი! — მოესმა ჯონის ნაცნობი ხმა. ბიჭი ადგილზე გაქვავდა.

— აკი, ავად ვარო, — განაგრძო ქსენია მასწავლებელმა, — ხვალ მშობლებს მოიყვან, ისე სკოლაში არ მოხვიდე!

მეორე დღეს ჯონის მშობლები არ მოუყვანია, არც ხელმძღვანელს უთქვამს რაიმე. შორიდან ადევნებდა თვალს, თუ რას იტყოდა დამნაშავე. მაგრამ ჯონი დუმდა... სამაგიეროდ, შესანიშნავად მოემზადებინა ყველა გაკვეთილი, იმდენად ჩინებულად, რომ მასწავლებელი გაოცდა. საღამოს იგი კვლავ გაემართა ჯონის სახლისაკენ, ბიჭი აივანზე იჯდა და გულმოდგინედ მეცადინეობდა. დამრიგებელი რომ დაინახა, ელდა ეცა, იფიქრა: დავიღუპე, ახლა კი გამცემს მშობლებთანო! ქსენია გოგოძემ კი მშობლებს ჯონის იმდღევანდელი წარმატების შესახებ უამბო.

ჯონი უკან დაედევნა გასაცილებლად, ალაყაფის კარებთან დაეწია და მასწავლებლის წინ უხერხულად გაჩერდა.

— მე ვიცი, რისი თქმაც გსურს! — სიტყვა შეაგება მასწავლებელმა, — გრცხვენია, რომ რამდენჯერმე მომატყუილე... გეგონა, დედაშენს ყველაფერს ვეტყოდი. ამჯერად მიპატიებია!

— გმადლობთ, მასწავლებელო... — გახარებულმა ბიჭმა მეტი ვერაფერი მოახერხა.

მას შემდეგ ჯონის არც ერთი გაკვეთილი არ გაუცდენია და წარჩინებითაც სწავლობდა. ახლა იგი საბჭოთა არმიის რიგებშია და სანიმუშო ჯარისკაცად ითვლება.

ეს მხოლოდ ერთი პატარა ეპიზოდია სამტრედიის რკინიგზის № 14 საშუალო სკოლის მასწავლებლის ქსენია გოგოძის პედაგოგიური ცხოვრებიდან. თითქმის 40 წელია, რაც იგი ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო საქმეს ემსახურება და ამ ხნის განმავლობაში ათას მოსწავლეზე მეტი ჰყავს გამოზრდილი. მის სახელს პატივისცემით იხსენიებენ მისი ყოფილი მოწაფეები, ნაცნობები და მეგობრები, რაიონის მშრომელები.

ბევრი შრომა დასჭირდა ქსენია გოგოძეს, ვიდრე ამ საზოგადოებრივ პატივისცემას დაიმსახურებდა. იგი 21 წლისა იყო, როცა მასწავლებლობა დაიწყო. იმ ოციან წლებში მთელი ჩვენი ძალები მობილიზებული იყო ფართო მასებში კულტურული მუშაობის გასაწევად, ადამიანთა შეგნებაში მავნე გადმონაშთების აღმოსაფხვრელად.

ახალგაზრდა მასწავლებელი ორთაბათუმის ჭრა-კერვის სკოლაში მივიდა, სადაც აჭარელ ქალთა უმრავლესობას სახე ჯერ კიდევ ძველებურად ჩადრით ჰქონდა დაფარული. ჭრა-კერვის სკოლა ერთ-ერთი საშუალებათაგანი იყო, რომ აჭარელი ქალები მიეზიდათ და მათთვის წერა-კითხვა ესწავლებინათ. ქსენია გოგოძეც ერთი იმ პირველთაგანია, რომელმაც ეს მეტად ძნელი და საპატიო საქმე იკისრა.

მას დასჭირდა დიდი აგიტაცია, რომ მშობლებს ახალგაზრდა ქალიშვილები სასწავლებელში გამოეშვათ ჭრა-კერვისა და წერა-კითხვის შესასწავლად.

ენერგიულობით და გულისხმიერებით ქსენიამ შესძლო ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მისდამი ნდობით განეწყო.

— მხოლოდ ქსენია მასწავლებელთან გავგზავნით შვილებს სასწავლებლადო, — ამბობდნენ ისინი.

მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ, მაგრამ ქსენია გოგოძეს გუშინდელ დღესავით ახსოვს ის დღეები. სკოლის დირექტორი იონა მინდელი, ორთაბათუმის მკვიდრი, მუშა მურად ხალვაში თავისი მეუღლით გულე ხანუმით და სხვები მხარში edgნენ ახალბედა მასწავლებელს. გულე ხანუმი თვითონაც სწავლობდა ჭრა-კერვას, წერა-კითხვას და ამით სხვა აჭარელ ქალებს მაგალითს უჩვენებდა.

რაიონის ხელმძღვანელობა აფასებდა ქსენია გოგოძეს, როგორც კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ დამამკვიდრებელს. შემდეგ ქსენია ასწავლიდა მახინჯაურის შრომის სკოლაშიც, და სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან ერთი აზრი ამოქმედებდა: რაც შეიძლება მეტ აჭარელს მიეღოს სწავლა-განათლება.

სამტრედიის რკინიგზის № 14 სკოლაში მოღვაწეობაც ქსენიას ცხოვრების ერთ-ერთი მდიდარი და საინტერესო ნაწილია.

დღეს სად არ შეხვდებით მის ყოფილ მოწაფეს: ექიმს, ინჟინერს, ეკონომისტს, მასწავლებელს და სხვა პროფესიის წარმომადგენელს, ისინი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულან, და თავიანთი მასწავლებლის მსგავსად, თავდადებით ემსახურებიან კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

რაიონში იშვიათია მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება, რომელშიც ქსენია გოგოძე აქტიურად არ მონაწილეობდეს. მის მიერ მოწყობილ საბავშვო დილებსა და საღამოებს არაერთხელ მოუხიბლავს დამსწრენი. მის მიერ მაღალი მხატვრული გემოვნებით დადგმულმა სანახაობამ, რომელიც აკაკი წერეთლის დაბადების თარიღს მიეძღვნა, მაღალი შეფასება მიიღო. უფრო მეტი წარმატება ხვდა შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში გამართულ მხატვრულ ინსცენირებას.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ქსენია გოგოძე დღეს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებას ატარებს, დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“, საპატიო რკინიგზელის სამკერდე ნიშნით, სხვა მედლებითა და სიგელებით.

ალა გაჩეჩილაძე

# ჩიხა

სხვიტორს რომ გასცდებით და გზას აღმოსავლეთისაკენ აიღებთ, თვალწინ გადაიშლება სოფელ ჩიხის ლამაზი პეიზაჟი.

მთის დამრეც კალთებსა და ვაკე-გორაკებზე შეფენილ სოფელს ფართო ჭალაზე ყვირილა ჩამოუდის. სოფელს ზემოდან დასცქერის თამარის დროინდელი ღვთისმშობლის ეკლესია და ციხე-კოშკის კედლები.

ამ მიდამოებში ბევრი რამ მეტყველებს სოფლის საინტერესო წარსულზე.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეებში. ფარნაოზის მეფობის დროს, ჩიხა მოხსენებულია ქალაქად. გ. წერეთლის ნაწარმოებში „ჩვენი ძველი გმირები" ვკითხულობთ: „ფარნაოზ მეფე სადარბაზოდ იმყოფებოდა ეგრისში — სიძის ქუჯი დადიანის ოჯახში. მოულოდნელად ავად გახდა და იქვე გარდაიცვალა. მეფის გვამი წაასვენეს მცხეთაში... დიმიდან გზა მიდიოდა მდინარის მარცხნით შორაპნამდის. შემდეგ გზა მიჰყვებოდა ფაზის ხეობაში ჩიხის ქალაქამდე..."

IX საუკუნეში საჩხერე იწოდებოდა ჩიხის საერისთაოდ.

ვისაც ახსოვს ძველი ჩიხა, მას შეუძლია დაინახოს ის უდიდესი კონტრასტი, რაც ასე ანსხვავებს ერთმანეთისაგან ძველსა და ახალ სოფელს.

ისტორიას ჩაბარდა ადამიანთა მძიმე, აუტანელი შრომა და მონური მორჩილება, შიმშილი და სიტიტვლე, უმეცრება და სილატაკე.

დღეს მნახველს ხიბლავს კოლმეურნეთა მარჯვენით აყვავებული ბაღები და ვენახები, ყანები და ველ-მინდვრები. ზურმუხტის ფერში ჩაძირული სოფელი. უხვ სიმწვანეში მკაფიოდ მოჩანს კოლმეურნეთა ახლადნაგები საცხოვრებელი სახლები, ლამაზი აივნებითა და ფართო ფანჯრებით.

სოფლის შუაგულში ლაღად გაუშლია მხრები ორსართულიან შენობას. ამ შენობაში ჩიხის საშუალო სკოლაა მოთავსებული.

სკოლას 90-მდე წლის ისტორია აქვს. ჩიხელებმა იცოდნენ რომ — „ღონიერი და ჭირთამძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია". მაგრამ რევოლუციამდე განათლების სურვილი სურვილად რჩებოდა, რადგან სკოლებისა და მასწავლებლების სიმცირე, სასწავლებლების ტერიტორიული სიშორე, ხალხის ფართო ფენების სილატაკე არ იძლეოდა საშუალებას ხორცი შესხმოდა ახალგაზრდობის სწრაფვას განათლებისაკენ.

1880 წელს დაარსებულ ჩიხის სახალხო ერთკლასიან სკოლაში მთელი 30 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი პედაგოგი ეწეოდა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას. სოფელი არ ივიწყებს ამ სკოლის პირველ მასწავლებელს ყარამან ჩხეიძეს. მოსწავლეებმა მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად სკოლის ეზოში რამდენიმე ძირი ხე გაახარეს.

დიდმა ოქტომბერმა ჩიხელ ახალგაზრდობას ფართოდ გაუღო ცოდნის კარი. ამჟამად ჩიხის საშუალო სკოლაში 550-მდე მოსწავლე ირიცხება, რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეს ორმოცზე მეტი პედაგოგი ემსახურება.

ჩიხა კულტურის მხრივ ერთ-ერთი მოწინავე სოფელია საჩხერის რაიონში. სოფელში წერა-კითხვის უცოდინარს ვერსად იპოვით, სამაგიეროდ ბევრია აგრონომი, ინჟინერი, ექიმი, პედაგოგი და სხვა სპეციალობის ადამიანი.

ჩიხელი შრომისმოყვარე ადამიანები ადრე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძალა ერთობაშია. ამიტომ იყო, რომ 1927 წელს საკოლმეურნეო მშენებლობის „პიონერებმა", აქტიურმა გლეხებმა გრიგოლ იაკობაშვილმა, დავით იაკობაშვილმა, გიორგი ნადირაძემ, მიხეილ ნადირაძემ და სხვებმა ჩამოაყალიბეს პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელი და მთავრობის დახმარებით მოაწყვეს ვაზის სანერგე.

ამბობენ, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, მაგრამ გლეხებმა დაინახეს კოლექტიური შრომის ბარაქა და მადლი და როცა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა საკოლმეურნეო მშენებლობა, ჩიხელი მოსახლეობა მასობრივად შევიდა კოლმეურნეობაში.

შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებამ და მისმა განუხრელმა სრულყოფამ მნიშვნელოვნად განამტკიცა კოლმეურნეობის ეკონომიური მდგომარეობა. ჩიხელები ბედს არ ემდურიან. ნორმადღეზე მიღებული ფული და ნატურანაზღაურება საშუალებას აძლევს მათ იცხოვრონ შეძლებულად და კულტურულად.

მშრომლები დიდი პატივისცემის გრძნობით არიან გამსჭვალული ახალგაზრდა სპეციალისტის, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის სოზარ იაკობაშვილისადმი.

ჩიხის მოსახლეობა უზრუნველყოფილია კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით: სოფელი ელექტროფიცირებულია აქვთ რადიოკვანძი, მოწესრიგებულია კავშირგაბმულობა, აგებულია პურის საცხობი, სახერხი, სავაჭრო მაღაზია, სასაუზმე. ჩქარა დამთავრდება აბანოს მშენებლობა. მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი სარგებლობს ტელეხედვით.

ჩვენი სოფლის მკვიდრის — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, აწ განსვენებული ბიძინა იაკობაშვილის თაოსნობით ჩატარდა სოფლო გზების კეთილმოწყობა. ახლა ჩიხა რაიონულ ცენტრთან დაკავშირებულია მოასფალტებული გზით და სარგებლობს ავტოტრანსპორტით.

**თინა იაკობაშვილი,**
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.


ვაზის მუნობელი იზოლდა ზამბახიძე


რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი თინა იაკობაშვილი გაკვეთილზე


სოფლის ხედი

სოფლის უხუცესი მჭედელი სიმონ იაკობაშვილი



მევენახეობის ბრიგადა

გალინა ორშინსკაია

# ႤႰႧႨ ႩႠႰႢႨ ႠႣႠႫႨႠႬႨ ႸႤႤႫႠႲႠ ႵႥႤႷႠႬႠႱ

მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გავიგე, ბავშვი მეყოლება. უფრო სწორედ, ის უკვე, ჩემში ცოცხლობს; ოღონდ მას ვერავინ ხედავს, წარმოიდგინეთ, მეც კი. საოცარია, ხომ?

ერთი თვეა, რაც ვიქტორი ზღვაში გავიდა. მთელი თვეა თურმე ცოცხლობს ჩვენი პირმშო, ჩვენ კი არაფერი ვიცოდით. წინათ არც კი ჩავფიქრებულვარ, მინდოდა თუ არა ბავშვი. მე მყავდა ვიქტორი და მქონდა სიხარული, რომელიც მის იშვიათ ჩამოსვლებს მოჰქონდა ჩემთვის. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. ვიქტორზე იმდენს არა ვფიქრობ, რამდენსაც ჩემს თავზე, რადგანაც ის — ჩემი, ჩვენი ბიჭიკო ჩემშია.

გუშინ ექიმისგან მოვდიოდი და მიკვირდა, საერთოდ სწრაფად დავდივარ, ყველას ვუსწრებ და ამავე დროს ყველაფრის დათვალიერებას ვასწრებ: ლამაზი სახისას, კოფთის ორიგინალური ფასონისას, ახალი ფილმის რეკლამისას. რაღაც სიამოვნებითაც კი ვიჭერ ჩემსკენ მოპყრობილ მზერას. შეიძლება იმდენი არ მიყურებს, რამდენსაც მოვისურვებდი, მაგრამ მაინც... აი, გოგონამ შეათვალიერა ჩემი მაშიები — ჩვეულებრივი მაშიები, რომლებიც ოდნავ გადავასხვაფერე. მოვაცილე ბაფთა და სადაფის ღილები მივაკერე. მახსოვს, ვიქტორს გულიანად აცინებდა ჩემი ხარაზობის ნიჭი.

ჭაბუკი ჩემმა მაშიებმა ვერ მოხიბლა; მან ჩემი ფეხები შეათვალიერა, ალბათ იმიტომ, რომ სწორი და გრძელი ფეხები მაქვს. ხანდახან ქალები ჩემს ჩანთას აკვირდებიან — ასეთი ჩანთები მაღაზიაში არ იშოვება, მე თვითონ მოვქსოვე. ხან ჩემს სახეს აშტერდებიან, ესეც ალბათ იმიტომ, რომ სიარულისას ვიღიმები. მიყვარს, მზე რომ ანათებს, მიყვარს საყვავილეში ყვავილების ყიდვა, მომწონს ლამაზი მაშიები და იშვიათი ჩანთა რომ მაქვს და ადამიანები რომ ამჩნევენ ამას.

მთელი დღე სამუშაოზე ვარ, ბიბლიოთეკაში, მომწონს ჩემი სამუშაო, თუმცა სივიწროვეა ჩვენთან, თანაც ყოველთვის რიგია. მაგრამ, აი სამუშაო დღე იწურება, სამუშაო ხალათს იხდი და მზეზე გამოდიხარ. აბა, განა შეიძლება ასეთ წუთებში ღიმილი შეიკავო?

ვიქტორი მეუბნება: შენი ღიმილი სიკეთეს არ მოგიტანსო, ერთხელაც იქნება, ჩამოვალ და... შენ კი სხვას უღიმი. ხუმრობს, რა თქმა უნდა, პასუხად კი არ ვიღიმები, არამედ ვკისკისებ.

გუშინ ექიმისაგან მოვდიოდი და ვიღიმებოდი, ოღონდ რაღაც სხვანაირი ღიმილით. შინაგანი ღიმილი თუა. მზესა და გამვლელებს კი არ ვუღიმოდი, არამედ ჩემს თავს, უფრო სწორედ, იმ პატარა არსებას, რომელიც ჩემში ცოცხლობს.

ჩემსკენ სამი წლის ბუთხუზა მობაჯბაჯებდა. ერთი წუთით შედგა, შემომხედა და გზა განაგრძო. დიდხანს გავცქეროდი. აუ, რამდენი ბავშვია ქუჩაში! სწორედაც რომ ბავშვები, და არა დიდები. რატომ დღემდე არ შემიმჩნევია ეს? ხომ დადიან ქუჩებში ლამაზ ფეხსაცმელებსა და კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც მათ შესცქერიან, ყველაფერი ასეა. მაგრამ, როგორ არ შემიმჩნევია, რომ მთავარი ქვეითები ისინი კი არ არიან, არამედ პატარა, მრგვალი, ლოყებამობურცული, დიდთვალება კაცუნები, რომლებსაც ხელში ნიჩბები, კასრები და აქანდაზები ჩაუბღუჯიათ. ისინი ჩიჩქნიან მიწას ბაღებში, ბაწარზე გამობმულ მანქანებს მოახრიგინებენ, ქვიშისაგან ციხე-სიმაგრეებს აგებენ, თავისებურ ენაზე ტიკტიკებენ. თურმე, წინათ, გულიყვერივით დავდიოდი ქონდრისკაცების ქვეყანაში და ვერ ვამჩნევდი პატარებს. მათ ვერ ვამჩნევდი, ისინი კი ალბათ მამჩნევდნენ. საკმარისი იყო შევჩერებულიყავ და მეცქირა მათი ფუსფუსისათვის, რომ ერთ-ერთი იმათგანი, პუნტულაფეხებიანი პატარა მობაჯბაჯდა ჩემთან.

— დეიდა, — მითხრა აღტაცებით, ერთი წლისა ან ცოტა მეტისა თუ იქნებოდა. ფეხები ეკეცებოდა დაძაბულობისაგან, თვალები გაკვირვებული, აღტაცებული ჰქონდა.

— დეიდა, — გაიმეორა და ნიჩაბი მოიქნია.

მისკენ დავიხარე: — რა გქვია, პატარავ?

კმაყოფილმა გაიცინა, რადგანაც კაცად მივიჩნიე და ყურადღების ღირსად ვცანი; მერე თავისი საქმეების მოსაგვარებლად წავიდა.

მეც გამეცინა; ხმამაღლა კი არა, ისე, ჩემთვის. ორი წლის შემდეგ ამ ბაღში ასეთივე ნიჩბიან ბუთხუზას მოვიყვან. ის ჩემი იქნება, მხოლოდ ჩემი, ცხვირს მოვწმენდ, შარვალს ავუწევ. თვალყურს ვადევნებ, რომ არ დაეცეს; ის კი ხშირად, ხშირად მოირბენს ხოლმე ჩემთან და მეტყვის... არა, არა, „დეიდას" კი არა, ის მეტყვის „დედას".

ჩანთა ავიქნიე და შინისკენ გავეშურე. ეი, თქვენ, მოდასაყოლილო ქალიშვილებო, რომელი თქვენთაგანი ოცნებობს ლამაზ ჩანთაზე? თვითონ მოვქსოვე, მაგრამ შემიძლია გაჩუქოთ! მაშიებიც შემიძლია გაჩუქოთ! წაიღეთ, განა მენანება, სულერთია, თქვენზე მდიდარი ვარ. მე ვაჟი მეყოლება! ნუ შემომცქერით, ბიჭებო! თქვენ სულაც არ გიღიმით! აბა, რისთვის მინდიხართ? მე ბიჭი მყავს და მას ვუცინი. მზე ანათებს, ჩიტები ჭიკჭიკებენ და საყვავილეში ყვავილები იყიდება — ეს ყველაფერი ახლა მისთვისაა.

* * *

მივწერო ვიქტორს თუ არა? იქნებ დაველოდო მის ჩამოსვლას? არ ვიცი, ვერ გადამიწყვეტია.

გუშინდელი აღტაცება გამინელდა. ქუჩაში ჩანთას აღარ ვაქნევ და აღარც შემხვედრ ქალიშვილებს ვთავაზობ. როგორღაც თითქოს ხანი მომემატა.

ახლა ნელნელა, ფრთხილად დავდივარ, ყველა მანქანას წინ ვატარებ, ავტობუსში უკანა სკამზე არა ვჯდები, რომ არ შემანჯღრიოს. ერთი სიტყვით, თვალისჩინივით ვუფრთხილდები თავს, უფრო სწორედ მას ვუფრთხილდები — პატარას, უსუსურს.

ამხანაგს, ზინას გავენდე (საოცარია, ვიქტორმა ჯერ არ იცის, ზინამ კი იცის). მან აღტაცებისაგან დაიწრიპვინა:

— ვაი, გოგონებო! ვაი, ჩემსკენ!

გოგონებმა მოირბინეს. ბიბლიოთეკაში ოთხნი ვიყავით: გიჟმაჟი ზინა, ჭკვიანი ვალია, გამგე მარია ადამოვნა და მე. გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ოცდაათი წლისაა. მაგრამ, როცა ერთად ვართ, ერთმანეთს „გოგონებს“ ვუძახით.

— ოი, გოგონებო, — ტაში შემოჰკრა ზინამ, — ოი, რომ იცოდეთ, რა ვიცი! კირას ბალღი ეყოლება, აი რა!

ვალიამ გაკვირვებით შემომხედა, თითქოს არ მოელოდა ჩემგან ასეთ თავგანწირვას. მარია ადამოვნამ მკითხა:

— ექიმთან იყავი? რამდენი თვისა ხარ? ჰო, ასე, კეთილი. გახსოვდეს სტელაჟებზე არ აძვრე, ხელები მაღლა არ ასწიო, წიგნების გროვას თითი არ დააკარო, კიბე ადგილიდან არ დასძრა. გაიგონეთ?

— როგორ არა, გავიგეთ, გავიგეთ! — დაიყვირა ზინამ. — მარია ადამოვნა, სულიკო, ყველაფერს გავაკეთებ კირას მაგიერ: წიგნების გროვასაც მე ვზიდავ და ხელებსაც მე ავწევ მაღლა. ოღონდ, ბიბლიოთეკაში ბავშვი დაიბადოს.

— სისულელეებს ნუ ბოდავ, — თქვა მარია ადამოვნამ, — ბავშვები ბიბლიოთეკაში არ იბადებიან.

ვალიამ დიდხანს მიყურა დაჟინებით, მერე ჩუმად გამიღიმა.



*

* *

დღეს გული ამერია. ვიცი, ის, პატარა სულელი ამჟღავნებს თავის ხასიათს. მენანება თუ? რახან საჭიროა, დაე, ასე იყოს. ონკანიდან წყალი მოვსვი, ტკბილი მეჩვენა ცივი ჩაივით. შენი არსებობა აზრადაც არ მოსდის არავის, შენ კი ხასიათს გვიჩვენებ კიდეც. აბა, სხვას ვის უჩვენებ შენს ხასიათს, — ვფიქრობდი მე. — მაინც, ადამიანის დაბადების დღედ რატომ თვლიან იმ დღეს, როცა ის ჩნდება ქვეყანაზე? ადამიანი სიცოცხლეს — განა დაბადებიდან 9 თვით ადრე არ იწყებს — დიახ, დიახ, სწორედ სიცოცხლეს. აი, დავდივარ, თავბრუ მეხვევა, მწყურია, გული მერევა, — და ეს ყველაფერი იმიტომაა, რომ ჩემში ცოცხლობს ჩემი პირმშო. ის მაიძულებს გავაკეთო და ვჭამო ის, რაც მას სურს, მაგრამ, როცა დიდი გაიზრდება და შეეკითხებიან, რამდენი წლისა ხარო, ის დაასახელებს თავისი დაბადების დღეს და არც კი ჩათვლის საჭიროდ გაიხსენოს ის ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი თავისი არსებობისა, . და მხოლოდ მე ერთს მეცოდინება, რომ იმ ზაფხულს, შემოდგომასა და ზამთარს ის უკვე იყო — ცოცხლობდა და სუნთქავდა ჩემში.

*

* *

ერთი ქარაფშუტა გოგონა ვიყავ. დილით სამსახურში გავრბოდი, საღამოს — ინსტიტუტში. ლექციებიდან კინოში ვიპარებოდი. მუდამ აყოლილი ვიყავი; ვფიქრობდი ტვინის ჭყლეტა ჩემი საქმე არაა-მეთქი. უცებ ყველაფერი გაუფერულდა: კინოცა და ფასონებიც. ერთად-ერთი და მთავარი — ფიქრი გახდა. დავდივარ — ვფიქრობ, ვზივარ — ვფიქრობ, ვიძინებ — ვფიქრობ, ვიქტორს რომ გაუგო ეს ამბავი, ალბათ, როგორ გაუკვირდებოდა! დედასაც, რა თქმა უნდა! ორი წლის წინ ხომ მეუბნებოდა: „რა დროს შენი გათხოვებაა, კირა, ჯერ კიდევ ქარი გიქრის თავში, ფიქრიც კი ვერ გისწავლია ხეირიანადო“. მოდი, მივწერ ჩემს დედიკოს, თუ რამდენი აზრი გამიჩნდა თავში და ყველაფერი ეს, მისი, ჩემი პატარის გამო. ამბობენ კი, ის არ არისო. არამც თუ არ არის, არამედ არის და გარდამქმნის კიდეც.

ინსტიტუტში მეცადინეობა დაიწყება, მეც ჩემს ბიჭიკოსთან ერთად დავიწყებ მეცადინეობას.

ახლახან ქუჩაში ვიყავ, დედასა და ვიქტორს გავუგზავნე წერილი, მერე სიბნელეში ვიჯექი ოთახში. კითხვაც კი არ მინდოდა, მხოლოდ ვფიქრობდი. რატომღაც ნათლად წარმოვიდგინე ქალი, რომელიც ცხოვრობდა და ელოდა ბავშვს და, რა თქმა უნდა, ოცნებობდა, რომ მისგან გამოვიდოდა სახელგანთქმული პოეტი, სარდალი ან მხატვარი; მაგრამ, მაინც, გულის სიღრმეში სჯეროდა, რომ ის იქნებოდა ჩვეულებრივი ადამიანი. და მხოლოდ სურდა მისი შვილი ყოფილიყო ჯანმრთელი და ღამღამობით არ შეეწუხებინა ხოლმე.

და აი, ის დაიბადა, ჯანმრთელი, წყნარი და სასაცილო, როგორც ყველა პატარა. დედა ეუბნებოდა მას: „ჩემო პატარავ! ჩემო კარგო!“ და უკოცნიდა პუნტულა თითებს და ფეხებს; აჭმევდა, აცმევდა, ზრუნავდა მასზე, ეალერსებოდა, ის კი იზრდებოდა და იზრდებოდა. არ ვიცი, როგორ იზრდებოდა, მაგრამ გაიზარდა და გახდა არამზადა. არ ვიცი, იცოცხლა თუ არა დედამ იმ დრომდე, როცა მან ჩაიდინა საშინელი ბოროტმოქმედება. ალბათ, არავინ არ ფიქრობდა მასზე, ამ ქალზე, მე ვზივარ მარტოდმარტო ბნელ ოთახში და ვფიქრობ მასზე, ქვეყნიერებაზე ერთ-ერთ ყველაზე უბედურ დედაზე. მე ის მეცოდება, რა არის იმაზე მეტი საშინელება, იმაზე მეტი უბედურება ქვეყნად მოავლინო არამზადა!

*

* *

ექიმმა მითხრა, იგრძნობ თუ არა ბავშვის ფაჩუნს, რიცხვი დაიმახსოვრეო. დავდიოდი და ყურს ვუგდებდი, ხომ არ გაიფაჩუნებს-მეთქი! და მაინც ეს ისე მოულოდნელად მოხდა. ინსტიტუტში ვიჯექ ლექციებზე, უცებ თითქოს რაღაცამ მიბიძგა შიგნიდან. ტუკ! ტუკ! თითქოს ვიღაცამ დამიკაკუნა. ჩუმად წამოვიყვირე კიდეც. ზინა, რომელთანაც ერთად ვსწავლობ ინსტიტუტში, შეკრთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცუდადა ხარ?

— არა, კარგად, ძალიან კარგად.

უნდა დავიმახსოვრო თარიღი. დღეს ზუსტად ნახევარია. ამდენივე დრო გავა და ბიჭი მეყოლება.

ვიქტორისაგან წერილი მივიღე. რაღაც უცნაური წერილი! ყოველი სიტყვა, ყოველი ფიქრი ჩემზეა, მაგრამ ვაი, რა ფიქრები! მწერდა, რომ ჯერ ძალზე ახალგაზრდა და ქარაფშუტა ვარ, თითქმის ბავშვი, აბა, სად შეძლებ ბავშვის გაზრდასო. ჩემი დარდი აქვს, თუ როგორა ვგრძნობ თავს მარტოდმარტო. მე კიდევ ზღვაზე ვიქნები და აბა რას მოახერხებ უჩემოდო. სწავლაც გვერდზე დაგრჩება და მუშაობაცო. ის არაფერს მაიძულებს, მაგრამ ძალიან (ხაზს უსვამს „ძალიან“) მირჩევს ვიფიქრო და ჯერჯერობით გადავდო ეს საქმე. სწორედ ასე მომწერა „ეს საქმეო“. ახლა ეს სულ უბრალოდ ხდება და დიდ საშიშროებას არ წარმოადგენსო. მას ვუყვარვარ და ცუდს არას მირჩევს. მორჩა და გათავდა.

ათჯერ გადავიკითხე წერილი. დიახ, ეს ვიქტორის ხელნაწერია, მისი სტილი. ჯერ ისე არ მოუწერია წერილი, რომ არ მწერდეს მიყვარხარო. აქაც მწერს ამას. არც თავისი ჩვეულებრივი სიტყვები დავიწყებია: „არაფერს, არაფერს არ გაიძულებ, ოღონდ ძალიან გირჩევო“.

საერთოდ ყველაფერში ვუჯერებდი ვიქტორს. ჯერ ერთი იმიტომ რომ, რომ ის ჩემზე უფროსია და ჩემზე ჭკვიანი. მეორეც ერთი, ის ასჯერ გაზომავს და მერე გადაჭრის. მე კი არა მგავს, მე ყველაფერს ფაციფუცით ვაკეთებ. დიდხანს დავცქეროდი წერილს, გულში ყველაფერი გამეყინა. ჩემი ბიჭიკო, თითქოს მიხვდა ჩემს განცდებს, სულგანაბული გასუსულიყო. იქნებ იგრძნო, მისი ბედი რომ წყდებოდა.

თუმცა რაღაა გადასაწყვეტი, ყველაფერი უკვე მოფიქრებული და გადაწყვეტილია.

ალბათ, ვიქტორი ვერ მიხვდა, რომ ის — ჩვენი ბიჭი უკვეა, ექიმი ყოველი გასინჯვისას ამბობს: „გულისცემა მკაფიოდ ისმისო“. გესმის, ვიქტორ, მას აქვს გული, რომელიც ფეთქავს. გულისცემა რომ შევაჩეროთ, ის უნდა მოვკლათ. გესმის, უნდა მოვკლათ! ო, როგორ გადამიქანდა გული შიშისაგან. და პირველად ჩემს სიცოცხლეში გავიფიქრე, იქნებ ვიქტორი არც თუ ისე ჭკვიანია და არც თუ ისე ყველაფერი ესმის...

*
* *

მე დავიბადე გამარჯვების დღეს. მამაჩემი დაბადებამდე ორი დღით ადრე დამეღუპა. დავრჩით მარტო: მე და დედა. როცა გაგების უნარი გამიჩნდა, ომი უკვე წარსულს ჩაბარდა, აწმყოში კი მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა სუფევდა; და როცა დედა ოხრავდა უკანასკნელი ცნობების მოსმენისას, მე ვიღიმებოდი.

და აი, ახლა, ვიქტორის წერილის შემდეგ, ყველაფერ იმის შემდეგ, რაც მასზე და ჩემზე ვიფიქრე, აღარ მეცინება დედის შიშზე, მე გამოვცადე შიში ჩემი შვილის გამო. მე გამოვცადე, ალბათ ის, რასაც გრძნობდა ჩემი დედა, როცა უკანასკნელ ცნობებს უსმენდა და ჩემზე ფიქრობდა. ამას იმიტომ მივხვდი, რომ თვითონ გავხდი დედა, ე. ი. პასუხისმგებლობა ავიღე სხვის, ჯერ კიდევ უსუსურ სიცოცხლეზე.

რამდენი წიგნი წამიკითხავს და რამდენი ფილმი მინახავს ომზე, მაგრამ მხოლოდ დღეს მივხვდი ამ სამი სიტყვის მნიშვნელობას:

„დედას შვილი მოუკლესო“.

ხდება ხოლმე, აღმოაჩენ რაღაც ახალ სამყაროს. ასე, მაგალითად, მე და ვიქტორმა შვებულების დროს აღმოვაჩინეთ თოვლიანი სვანეთი, „წმინდა ბაიკალი“ და მხიარული საქართველო. ვოცნებობდი, ასე ვიმოგზაურებ ყოველთვის, სანამ მთელ ჩემს ქვეყანას არ ჩავიკრავ გულში-მეთქი. ვიქტორი მეუბნებოდა, ადრე თუ გვიან მოგბეზრდება ხეტიალიო. და აი, ახლა ქალაქიდან გაუსვლელად მე გულში ჩავიკარ არამც თუ მთელი ქვეყანა, არამედ მთელი პლანეტა, რომლის სახელიც ბავშვობაა. ის ყოველთვის ჩემთან იყო, ის პლანეტა, ოღონდ მე არ მინახავს იგი. ახლა კი დავინახე და სიხარულისაგან ავკისკისდი — იმდენად მშვენიერია ეს პლანეტა!

ყველაზე უფრო სამი-ოთხი წლის ადამიანები მომწონს. მათ შეუძლიათ გააკეთონ ყველაზე მთავარი: იარონ, ილაპარაკონ, ერთგვარი მოწყალებითაც კი მოეპყრან უფროსებს, თუმცა მათზე დამოკიდებულებას სცნობენ.

ახლა ზამთარია, საბრალო ბავშვებს უთვალავი ტანსაცმელი ახონხლიათ: უზარმაზარი თბილი ქურქი, წელში შემოჭერილი ქამრით, ქურქის ქვეშ სვიტრი და კოფთა, რეიტუზები და წინდები, მაღალი ქეჩის წაღები, თავზე ბეწვის ქუდი.. ღმერთო ჩემო, რა უხერხულად გრძნობენ თავს, თითქოს ასი ფუთი საპალნე ადევთ მხრებზეო. რას იზამენ? ძალა აღმართსა ხნავს, ყოველგვარი წინააღმდეგობა ამაოა, დედა აცმევს, ფუთნის და აგდებს ქუჩაში. და ის, სამი წლის კაცუნა, არ ეკამათება. ქეჩის წაღიან ფეხს სწევს და ფილაქანზე მტკიცედ ადგამს, ქუდს გვერდზე იფხატავს და ამგვარად ითავისუფლებს თვალებს, აქეთ-იქით იცქირება, ჯიბეებში ხელებს იწყობს და ქალაქში იწყებს მოგზაურობას. სადღაც წინ, ან გვერდით დედა მისდევს, მაგრამ ეს მას არ ეხება. მას აქვს თავისი საკუთარი გზა, რომელიც შემთხვევით ემთხვევა დედის მარშრუტს ხილ-ბოსტნეულის მაღაზიისაკენ.

მაღაზიაში დედა კუთხეში აყენებს და ეუბნება, „ფეხი არ მოიცვალო ადგილიდანო“. ისიც დგას. შევცქერი მაღაზიის კუთხეებში მდგარ პატარებს და მიკვირს, რატომ არ ბეზრდებათ ასე დგომა. ჯერ ერთი, მაღაზიაში კატებია, რომლებიც თავისუფლად დახეტიალობენ დახლქვემოთ, ხანდახან ქუჩიდან გასათბობად შემოეხეტება ნამდვილი ძაღლი, და მაშინ, ყოველი კუთხიდან მოისმის მხიარული შეძახილები:

— ფისო, ფისო!

— ცუგრი!

ჩვეულებისამებრ, უფროსებს ეს ამბავი არ მოსწონთ, მოუტრიალდებიან და შეჰყვირებენ:

— თავი გაანებე-მეთქი ძაღლს, მე ვიცი შენი!

ბალღებს არ ესმით, რაშია საქმე, რა დააშავეს. მაღაზიაში ხომ ცოცხალი ძაღლი დადის, ნუთუ უფროსები ვერ ხედავენ ამას?

როცა ჩემს ბიჭიკოს გაუკვირდება ძაღლის, კატის, ბალახის ანდა კიდევ რაიმე ჩვეულებრივის დანახვა, ვეცდები მასთან ერთად გამიკვირდეს, და თუ იმ წუთებში ძალზე დაღლილი ან აღელვებული ვიქნები, უბრალოდ გავუღიმებ და, ვგონებ, ის მიხვდება, რომ მე ვიზიარებ მის სიხარულსა და გაკვირვებას.

*
* *

როგორ მელოლიავებიან ყველანი, პირდაპირ სასაცილოა! ყოველ ორ კვირაში ერთხელ ექიმთან მივდივარ. იქ მისმენენ, მწონიან, მზომავენ, მეუბნებიან, რა ვჭამო, რა ვსვა, როგორ დავისვენო. ტრამვაიში ადგილს მითმობენ. როგორც კი შევალ, უმალვე: „დაბრძანდით, გეთაყვა!“ რიგში ჩავდგები: „დახლთან მიბრძანდით!“ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მრცხვენია კიდეც.

სამუშაოზე ზინა სტელაჟზე აძვრომის უფლებას არ მაძლევს, როგორც კი გაიგებს შორეული თაროდან შიფრს, ბურტყუნებს: „საით? თვითონ ვერ შევწვდები, თუ? ხელი გაუშვი კიბეს!ოი, გოგოებო, არ მიჯერებს!“

მშვიდი ვალია უსიტყვოდ მითვალთვალებს და უმალ გზას მიღობავს, თუ სტელაჟისაკენ წავედი.

ინსტიტუტში ლექციებზე ყვირიან: — გააღეთ სარკმელი, სული გვეხუთება! ბიჭებო, პაპიროსი დერეფანში მოსწიეთ! კირა, ფანჯარასთან დაჯექი! — ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს პატარას არა მარტო მე ველი, არამედ ქალთა კონსულტაციაც, სადაც დავდივარ, ბიბლიოთეკა, სადაც ვმუშაობ, ინსტიტუტი, სადაც ლექციებს ვუსმენ, თქვენ წარმოიდგინეთ, ქუჩებიცა და შესახვევებიც, რომლებითაც შინ ვბრუნდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

დედამ გულისამაჩუყებელი წერილი მომწერა. მწერდა, შვილიშვილის მოხარული ვარ და უეჭველად ჩამოვალ გადამწყვეტი მომენტისათვისო. სწორედ იმ დროს მისი პირველკლასელები წავლენ საშემოდგომო არდადეგებზე; მერე ექვს ფურცელზე „სამასი სასარგებლო რჩევა“. საყვარელო, საყვარელო დედიკო!

* * *

გუშინ გადავწყვიტე, მახინჯი დამებადება-მეთქი, ჰოდა, რა? ადვილი შესაძლებელია. ნორმალურ მშობლებს ხომ ებადებათ მახინჯები? ავქვითინდი, ათიოდე წუთი მაინც ვსლუკუნებდი. მერე გადავწყვიტე, ჯერ არაფერია გარკვეული, ტირილი კი მავნებელია, რატომ მაინცდამაინც მახინჯი უნდა დამებადოს-მეთქი! — გავიფიქრე. ასეთივე წარმატებით შეიძლება გამიჩნდეს გენიოსი, გენიალური მუსიკოსი, პოეტი, განთქმული მათემატიკოსი. ჰოდა, რა? გენიოსებიც ხომ ჩვეულებრივ ადამიანებს უჩნდებათ. წარმოვიდგინე, ორმოცი-ორმოცდაათი წლის შემდეგ, მოწაფეები რომ შეისწავლიან დიდი პოეტის ბიოგრაფიას, წაიკითხავენ: „დედა — კირა ალექსანდროვნა — იყო ბიბლიოთეკის მუშაკი. მან ჩაუნერგა შვილს ლიტერატურის სიყვარული, ასწავლა კეთილი, ყურადღებიანი ყოფილიყო ადამიანების მიმართ. პოეტს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაყვა დედის პატივისცემა და სიყვარული“ ცოტა ვიფიქრე და დავუმატე: დიდედასიც-მეთქი. აი, მამის მიმართ, ჯერ ვერა გადამიწყვეტია-რა.

ბოლოს ვიქტორისგანაც მომივიდა წერილი. თურმე ვერ მივუხვდი: თუ მე მიხარია ბავშვის ყოლა, მასაც უხარია. უბრალოდ, მას ვერ წარმოუდგენივარ დიდი მუცლით, ეს უცნაურად მიაჩნია. მაგრამ ეს ხომ დროებითი მოვლენაა, მერე მე ისევ მოქნილი გავხდები, როგორც წინათ. მან მისწერა თავის მოხუცებს, რომ დალოდებოდნენ შვილიშვილს, თვითონ კი იმ სახელების სიას ადგენს, რომელიც მოსწონს. მხიარული წერილია, არა? ოღონდ, აი, მაშინ გამეხარდება ნამდვილად, როცა თვითონ ჩამოვა და თვალებში ჩავხედავ.

დედა ჩამოვიდა. დამინახა და ატირდა. მერე თავის თავზე გაეცინა. ერთმანეთს ჩავეხუტეთ და ისე ვიჯექით. მე ვუამბე ვიქტორზე. დედამ მითხრა: მამაკაცებს ეს ემართებათ ხოლმეო.

— რაც მთავარია, ხომ უყვარხარ.

— იცი, ახლა, როცა ჩამოვა, თავიდან უნდა დავუმტკიცო ყველაფერი.

— რა? — ვერ გამიგო დედამ.

— ჩემი სიყვარული.

მერე დედამ დაკვირვებით შემათვალიერა და მითხრა:

— კირა, შენ გოგონა გეყოლება.

— როგორ თუ გოგონა? — გავშტერდი. დედას გაეცინა და დამამშვიდა:

— სისულელეა. განა ყველა ნიშნები მართლდება. ადვილი შესაძლებელია, ბიჭი გეყოლოს.

მე კი უცებ განვეწყე გოგონას მიმართ. წარმოვიდგინე პატარა ფუნთუშაფეხებიანი გოგონა, მოკლე კაბაში გამოწყობილი, თავზე უშველებელი ბაფთით. ყველაფერში ჩემი მარჯვენა ხელი იქნება, მერე გახდება მასწავლებელი, ან მსახიობი, ან ექიმი. ვასწავლი ქსოვასა და კერვას, მზის, ყვავილების და ბავშვების სიყვარულს.

ბოლოსდაბოლოს, რა განსხვავებაა, რა მეყოლება? დაიბადება ადამიანი. დაიბადება გაზაფხულზე და პირველი, რასაც დაინახავს ქვეყნად, იქნება ახლადაფეთქებული ხეების კვირტები, ნორჩი მწვანე ბალახი. ჩიტები თავს ზემოთ, და ჩემი ბედნიერი სახე.

ვინც არ უნდა იყოს ჩემი შვილი — ბიჭი თუ გოგო, ვეცდები კარგი ადამიანი გავზარდო. ასე გამოდის, რომ ერთი კარგი ადამიანიც შეემატება ქვეყანას.

თარგმნა **ჯილდა გორდაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლიდა გასვიანი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების პირველი გამგე ლიდა ილარიონის ასული გასვიანი იყო. ეს გარეგნულად მომხიბლავი, განათლებული ქალი სრულიად ახალგაზრდა გამოაკლდა თანამებრძოლთა რიგებს. მისი ხანმოკლე ცხოვრება ძალიან საინტერესო, მჩქეფარე და ნათელი ეპიზოდებითაა მდიდარი.

პირველდაწყებითი განათლება ლიდამ ფოთის გიმნაზიაში მიიღო. როცა მისი მშობლები საცხოვრებლად შუააზიაში გადავიდნენ, ლიდა თან გაჰყვა მათ და სწავლა რუსულ სკოლაში განაგრძო.

1918 წელს ლიდა გასვიანი კომუნისტური პარტიის რიგებში შედის, იმავე წელს პარტიის დავალებით იგი ჩამოდის საქართველოში და თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით აწარმოებს იატაკქვეშ მუშაობას.

ლიდამ ბავშვობიდანვე თავისი თვალით იხილა შუააზიის მუსულმან ქალთა დუხჭირი ცხოვრება. ამიტომ პატარაობიდანვე შეიგრძნო და შეისისხლხორცა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის აუცილებლობა და კიდევაც ილწვოდა ქალთა განთავისუფლების განსახორციელებლად. აზერბაიჯანელი მუსავატების, სომეხი დაშნაკების და ქართველი მენშევიკების ბატონობის წლებში ლიდა იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

1918 წელს ლ. გასვიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა, მაგრამ მენშევიკებისაგან დევნილი, 1920 წელს გადასახლებულ იქნა აზერბაიჯანში.

იქ ის უფრო ღრმად ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. ლიდა განსაკუთრებული ორატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული და ერთბაშად ხიბლავდა აუდიტორიას, იპყრობდა ტრიბუნას.

ნიჭიერი ქართველი ქალი იმთავითვე იქცევს ცნობილი ბოლშევიკების: ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილის, მიხა ცხაკაიას და სხვათა ყურადღებას.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე, სრულიად ახალგაზრდა ლიდას ნიშნავენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგედ. ძალიან ძნელ პირობებში მოუხდა მუშაობა ლიდას, მაგრამ მან მაინც შესძლო თავის გარშემო ქალთა აქტივის შემოკრება, მათი დარაზმა უდიდესი ღონისძიებების განსახორციელებლად. აქტივის დახმარებით ლიდამ 1921 წლის 21 მაისს მოიწვია უპარტიო ქალთა პირველი ყრილობა თბილისში. ყრილობას დაესწრო ყველა ცნობილი ქართველი ბოლშევიკი. ამ სერიოზულ საქმეში ლიდას ხელს უწყობდნენ ფილიპე მახარაძე და მარიამ ორახელაშვილი. ყრილობას დაესწრო კიროვი, რომელმაც სიტყვით მიმართა დელეგატებს.

ყრილობის შემდეგ ლიდა გაემგზავრა ბათუმში. ძნელი, ძალზე ძნელი იყო საუკუნეებით დამონებული აჭარელი ქალების ნათელი ცხოვრების გზაზე გამოყვანა. ლიდა სათავეში ჩაუდგა აჭარელ ქალთა შორის ორგანიზაციულ მუშაობას, იგი არ ტოვებდა არც ერთ სოფელს, რომ არ მისულიყო, თან მიჰყავდა მოწინავე აჭარელი ქალ-ვაჟები, მოსახლეობას უხსნიდა და განუმარტავდა ახალი ცხოვრების სიკეთეს. ერთ-ერთი ასეთი მგზავრობის დროს მას წინ შემოეყარა აჭარელი ქალი, რომელსაც სახე ჩადრით ჰქონდა დაფარული, ზურგზე ორფუთიანი ტომარა ეკიდა და სიმინდი მიჰქონდა წისქვილში დასაფქვავად, ქალს უკან უდარდელად მიჰყვებოდა მხარბეჭიანი აჭარელი ვაჟკაცი. ლიდას ამ სურათის დანახვაზე ცეცხლი წაეკიდა:

„ძამიავ, რას ერჩი ამ საცოდავ ქალს, რად სტანჯავ“.

აჭარელ ვაჟკაცს არ ეჭაშნიკა მისი ოჯახის საქმეებში სხვისი ჩარევა, და რადგან აჭარელი მუსულმანები ქალებთან ლაპარაკს ერიდებიან, მან ლიდას თანმხლებ ვაჟკაცებს მიმართა: მაგისთანა მე ოთხი ცოლი მყავს და მაშ რა უნდა გამიკეთონ? ასეთია ჩვენი ადათი და ჩვენი კანონიო.

ლიდამ მას წინადადება მისცა მოეხსნა ტომარა ქალისათვის და თვითონ წაეღო სიმინდი წისქვილში, წინაალმდეგ შემთხვევაში ბათუმში პროკურორს ვაცნობებ და პასუხისგებას ვერ აცდებაო. აჭარელმა პროკურორის სახელი რომ გაიგო, შეშინდა, მოხსნა ქალს ორფუთიანი ტვირთი და თვითონ მოიგდო ზურგზე.

გულითადი, დამარწმუნებელი საუბრებით ლიდამ შესძლო დელეგატი ქალების შერჩევა და ბათუმში აჭარელ ქალთა პირველი ყრილობის მოწვევა.

ლიდას თხოვნით აჭარაში ფილიპე მახარაძე ჩავიდა. აქ იგი ძალზე უყვარდათ და პატივს სცემდნენ. მახარაძემ მოუწოდა აჭარელ ქალებს დაეწყოთ ახალი ცხოვრება, ჩამდგარიყვნენ საქართველოს თავისუფალ ქალთა რიგებში...

1922 წლის პირველ სექტემბერს ლიდა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსკოვის უნივერსიტეტში გაგზავნა სასწავლებლად, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის მუშაობდა ლონდონში, საბჭოთა საელჩოში. ლონდონიდან ჩამოსვლის შემდეგ ლიდა მოსკოვში იყო სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოებზე; მუშაობდა მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობაში. 1934 წელს იგი თბილისში გადმოდის და ნიშნავენ სახელგამის დირექტორის მოადგილედ.

ვისაც კი ერთხელ მაინც ლიდა გასვიანთან საქმე ჰქონია, იგი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს მას — სულით მდიდარსა და გარეგნულად მომხიბვლელ ქალს.

ნ. რიონელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაპიტალის სამყაროში

## პატარა ხელები

ბევრ თქვენგანს, ალბათ, უნახავს სპარსული ძვირფასი ქაშანური ან ისფაჰანური აბრეშუმის ხალიჩა. რა ფერების შეხამებაა, რა ჩახლართული და სიმეტრიულად განლაგებული მრუდეებია დაყოლებული, გარშემო ფანტასტიკური არშიებით მოვლებული! ამ ხალიჩის შემყურეს ისეთი გრძნობა ებადება, თითქოს სიმფონიური ორკესტრის ჰანგებს ან კარგად შეხმატკბილებული მრავალხმიანი გუნდის გალობას ვისმენო.

სპარსეთში ყოფნისას მაინტერესებდა მენახა ის ხელები, რომლებიც ამ ძვირფას ხალიჩას ქსოვდნენ მდიდართა საამებლად.

ერთხელ ქალაქგარეთ წამიყვანეს და ვნახე შემქმნელი ამ ძვირფასი განძისა. ბნელ, ნესტიან სარდაფში დიდ ტახტზე იყო შემოდგმული ყდები და ჩარჩოები, დაქსელილი თეთრი ბამბის ძაფით. თითოეული ყდის წინ იჯდა ექვსიდან ათ წლამდე ასაკის რამდენიმე გოგონა. ჭრელ-ჭრელი აბრეშუმის ძაფით ხელში, ნაღვლიანი, ჭკვიანი შავი თვალებით, მოკუმული ტუჩებით, და გამალებით ქსოვდა. არც ერთ მათგანს ჩვენსკენ არ გამოუხედავს — არა სცალოდათ და არც ვაინტერესებდით. გამხდარი პატარა შავი ხელები საშინელი სისწრაფით ქსოვდნენ, ნასკვავდნენ და ბეჭავდნენ მძიმე სავარცხლით.

თავს წამოსდგომოდათ ბრგე ახალგაზრდა, ერთ ხელში ნაყშით და მეორე ხელში გრძელი ჯოხით. ის იდგა და მღეროდა ფერების სიმღერას: მოდის წითელი ფერი, ახლა კი მწვანე... და სხვა. გოგონები კი საქმიანი სახით მასთან ერთად იმეორებდნენ იმავე სიტყვებს — მღეროდნენ ფერების სიმღერას. ეს ჩვეულებრივი სიმღერისაგან განირჩეოდა; რაღაც ნაღვლიან ლულუნს და მოქანცულ გოდებას უფრო ჰგავდა.

და აი შეცდა პატარას... ფერი აერია და სიმღერასაც ჩამორჩა... პატარა გამხდარ თითებში მწარედ მოხვდა ზედამხედველის ჯოხი. ზედამხედველი არხეინად აგრძელებს სიმღერას, პატარა კი მწარედ, ბავშვურად ტირის: პირგაღებული, თავგადაგდებული, თვალები დახუჭული აქვს, ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდის ლოყაზე, მაგრამ პატარა შავი ხელები, შრომას მიჩვეული ხელები, ჩვეული მოძრაობით, სწრაფად განაგრძობენ ქსოვას.

ვერ ადგება და ვერ გაიქცევა. შინ შიმშილი მოელის. აქ დღეში ერთხელ მაინც აჭმევენ. მან არ იცის, რა არის ბავშვური უდარდელობა. არც ის იცის, რა არის სკოლა. მას თვალები არ უციმციმებს ბავშვური, მხიარული ღიმილით. იგი იცნობს თავის მძიმე ცხოვრებას. მისი პატარა ხელები ძვირფას ხალიჩას სხვებისათვის ქსოვენ, შინ კი სიღარიბე და შიმშილი უცდის.

ელენე გულივერდიშვილი

ჟილეტ ზიგლერი

# ფლორა ტრისტანი

1844 წლის მაისის ერთ მშვენიერ დილას, იშვიათი სილამაზის ქალი ეწვია ქალაქ ლიონს. მისი სპილოსძვლისფერი სახე, კლასიკური ნაკვთები და მომჯადოებელი ღიმილი ყველას ყურადღებას იპყრობდა.

ქალს ფლორა ტრისტანი ერქვა. ლიონში მას უნდა გაევრცელებინა რევოლუციური დოქტრინა: ქალთა თავისუფლებისათვის ბრძოლა, მტკიცე კავშირის დამყარება მშრომელ ქალთა და მამაკაცთა შორის. ამან შეაშფოთა ქალაქის პროკურორი. ქალს დევნა დაუწყეს. „ეს აჯანყებაა, — წერდა პროკურორი თავის უფროსებს, — ამას ბოლო უნდა მოეღოს!“

ფლორა-სელესტინა ტრისტანი, რომელმაც მთელი პოლიცია ფეხზე დააყენა, დაიბადა 1808 წლის 7 აპრილს, ესპანეთში. მამამისი დონ მარინო დე ტრისტანი ესპანელი იყო, დედა — ფრანგი. ისინი ქორწინების რეგისტრაციის გარეშე იყვნენ შეუღლებულნი. ფლორა 4 წლისა იყო, როცა მამა გარდაიცვალა. დედა-შვილი ყოველგვარი სახსრის გარეშე, ბედისანაბარად დარჩა. 14 წლის ფლორა დედამ პარიზში ჩაიყვანა. აქ გოგონა მუშაობას იწყებს მხატვარ ანდრე შაზალთან, კოლორისტად. მხატვარს შეუყვარდა თავისი მოწაფე და 1821 წელს ცოლად შეირთო. შაზალი მეტად ეჭვიანი იყო, ფლორა კი — მეტად ლამაზი. იგი ბევრს უყვარდა და ბევრიც მოტაცებას უპირებდა. მის ირგვლივ ათასგვარი დრამები იმართებოდა. ერთი ახალგაზრდა მისი სიყვარულით შეიშალა, მეორემ კინაღამ თავი მოიწამლა. ქმართან უსიამოვნების შემდეგ ფლორა დედასთან გადავიდა საცხოვრებლად. მალე გოგონა შეეძინა. ბავშვი დედასთან დატოვა. თვითონ კი რომელიღაც ინგლისელის ოჯახში მოეწყო და ლონდონს გაემგზავრა.

ინგლისის დედაქალაქში ფლორა ქარხნის მუშა-ქალებისა და ბავშვების მძიმე ცხოვრებას გაეცნო და მტკიცედ გადაწყვიტა სიკვდილამდე ებრძოლა მათი გათავისუფლებისათვის.

1833 წელს, ფლორამ თავისი ბიძისაგან, შტატ ასაკიპას გუბერნატორ დონ მარინოსაგან წერილი მიიღო და მის სანახავად გაემგზავრა. მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს ის აგვიწერს ნაწარმოებში: „მოძულებული ადამიანის შორეული მოგზაურობანი“.

ბიძის ოჯახში ფლორა ცივად მიიღეს. იგი მალე ბრუნდება პარიზში, სადაც თავის ყოფილ ქმარს ხვდება. შაზალი დიდხანს ემუდარება — დამიბრუნდიო, მაგრამ ამაოდ. ერთ დღეს ეჭვიანობით გაცოფებული შაზალი მძიმედ დასჭრის ფლორას. მას 20 წლის კატორღას მიუსჯიან.

ფლორა ტრისტანის პირველ ნაწარმოებს — „მეფისს“ — წარმატება ხვდა, მაგრამ „ლონდონში გასეირნებამ“, რომელიც 1842 წელს დაიბეჭდა, კრიტიკა აღაშფოთა. მიზეზი ის იყო, რომ მწერალმა ქალმა შესანიშნავად აღწერა ინგლისელ მშრომელ ქალთა უბადრუკი და ღატაკი ცხოვრება. „ამ წიგნის ყოველი სტროფი, — წერდა ჟიულ ჟანენი, — თითქოს სისხლითა და ჭუჭყითაა გაჟღენთილი. ასეთი ნაწარმოები ქალის ხელს არ უნდა ეკუთვნოდეს“.

სკანდალი ყოველგვარ ზღვარს გადაცდა, როცა ფლორა ტრისტანმა მუშათა კავშირის პროექტის გამოქვეყნება განიზრახა. ამ წიგნის დაბეჭდვაზე გამომცემლებმა ლამენემ და ლამარტინმა „წითელ ამორძალს“ უარი განუცხადეს. ლიონის პროკურორი აღშფოთებული იყო ქალის ამგვარი თვითნებობითა და თავხედობით. პროკურორის ბრძანებით იგი ქალაქიდან უნდა გაეძევებინათ. ლიონის გაზეთმა პროტესტი განაცხადა რევოლუციონერი ქალის გაძევების გამო. ფლორა ქალაქში დატოვეს, ოღონდ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ.

ლიონის ფეიქრებმა, რომლებიც პოლიტიკურად შედარებით უკეთ იყვნენ მომზადებულნი, ფლორა ტრისტანი ქარხანაში მიიწვიეს. „ფლორა თავის გამოსვლაში ცოცხლად და გატაცებით ლაპარაკობდა, — მოგვითხრობს მისი მეგობარი ქალი ელეონორა ბლანი. — ამ ქალში უდიდესი ნებისყოფა იყო, რომელსაც ის გარშემომყოფთ გადასცემდა“. მუშებმა ფლორას დიდი ბანკეტი გაუმართეს და დაჰპირდნენ, რომ საკუთარი სახსრებით დაუბეჭდავდნენ „მუშათა კავშირის პროექტს“. ეს ფლორას უკანასკნელი სიხარული იყო. ამასობაში მისი ქალიშვილი ალინა დაოჯახდა. ის ცოლად გაჰყვა ჟურნალისტ გოგენს.

ტუბერკულოზით დაავადებული ფლორა ლავინიონში გაემგზავრა, კვლავ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. ბორდოში ლოგინად ჩავარდა და 1844 წლის 14 ნოემბერს გარდაიცვალა, გარდაიცვალა ისე, რომ არ უნახავს თავისი პატარა შვილიშვილი (შემდეგში დიდი მხატვარი გოგენი). მისი ცხედარი, რომელიც 4 მუშას მიჰქონდა, შარტრეს სასაფლაოზე მიაბარეს მიწას.

ფლორა ტრისტანი ერთადერთი ქალი იყო იმ ეპოქაში, რომელმაც პროლეტარ ქალთა ცხოვრების ნათელი სურათი მოგვცა. მსოფლიოს მშრომელთა ასოციაციის მისეულმა პროექტმა ლონდონის 1862 წლის კონგრესზე შეისხა ხორცი. ფლორა ტრისტანმა ღირსეული ადგილი დაიკავა მათ შორის, ვინც მუშათა უკეთესი მომავლისათვის იბრძოდა.

ფრანგულიდან თარგმნა **როენა უეწიამ**

გაზეთი „ლუმანიტე დიმანში“. 1967 წ. № 23

ბ. ნ. კლოსოვსკი

# ნაყოფის, ახალშობილისა და ბავშვის განვითარება მავნე ფაქტორების ზემოქმედების პირობებში

(იბეჭდება შემოკლებით)

უკანასკნელ პერიოდში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, კატასტროფულად გაიზარდა გონებრივად და ფიზიკურად მახინჯ ბავშვთა რიცხვი. მაგალითად, საფრანგეთში ასეთ ბავშვთა რიცხვი მილიონნახევარს აღწევს, შეერთებულ შტატებში კი არასრულფასოვანი თაობის დაბადების საკითხმა იმდენად კატასტროფული სახე მიიღო, რომ აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი იძულებული იყო ეს საკითხი განსახილველად კონგრესის სხდომაზე გამოეტანა.

როგორც ირკვევა, აღნიშნული მოვლენები უნდა აიხსნას მავნე ფაქტორების ზემოქმედებით ჩასახვის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის დაბადების შემდგომ პერიოდებში.

ბავშვის განვითარების ნორმიდან გადახრა შეიძლება იყოს როგორც თანდაყოლილი, ასევე შეძენილი. უმეტესად მხოლოდ გარეგნული გამოვლინებით ძნელია დადგენა იმისა, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ესა თუ ის ავადმყოფობა, აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმით, რომ თანდაყოლილი და შეძენილი სიმახინჯეები ყალიბდება გარეგანი და შინაგანი მავნე ფაქტორების ზემოქმედებით ჩანასახის პერიოდში და შესაძლოა უფრო ადრეულ თაობებშიც, შემდეგ კი უჯრედების მეშვეობით ჩანასახს გადაეცემა ორგანოთა და სისტემების მანკიერი (არასრულფასოვანი) განვითარება. ჩანასახის ნორმალური განვითარების დარღვევა საინტერესოა არა მარტო ახალშობილთა სიმახინჯეების აღმოცენების თვალსაზრისით, არამედ საყურადღებოა ადამიანის შემდგომი ცხოვრების პერიოდშიც, რაც დაღს სვამს მისი ფიზიკური და ფსიქიური განვითარების თავისებურებებს.

თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიები შეიძლება გამოვლინდეს ადამიანის განვითარებისა და ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ზოგიერთი ავადმყოფის დიაგნოზი დასტურდება ახალშობილის დაბადებისას, ბავშვობისა და ყრმობის ხანაში, ზოგიერთი — სიმწიფისა და ჭარმაგობის ასაკშიც კი.

არც თუ ისე დიდიხნის წინ თანდაყოლილ ავადმყოფობებს პრინციპულად განუკურნებელ სენად მიიჩნევდნენ, მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეს აზრი არ შეესაბამება სინამდვილეს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ორგანიზმის განვითარების მკვეთრ დარღვევასთან, კვლავ ძნელდება მოსალოდნელი სიმახინჯეების თავიდან აცილება.

ცნობილია, რომ თანდაყოლილი და შეძენილი სიმახინჯეები დამოკიდებულია მთელი რიგი სპეციფიკური აგენტების არსებობაზე, რომელთაც უნარი აქვთ ერთ შემთხვევაში გააძლიერონ თანდაყოლილი ავადმყოფობის გამომწვევი ფაქტორების ზემოქმედება, ხოლო სხვა შემთხვევაში მოახდინონ მისი უგულვებელყოფა. ამიტომ მკურნალობის შედეგები მთლიანად დამოკიდებულია ამ ავადმყოფობათა გამომწვევი მიზეზების შესწავლაზე.

ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ყველა იმ თანდაყოლილი და შეძენილი მავნე ფაქტორების შესწავლა, რომლებიც იწვევენ შთამომავლობის მანკიერ განვითარებას. ამ საკითხის გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია ბავშვებში ფიზიკური და გონებრივი განვითარების დეფექტების წარმოშობის მიზეზების აღმოჩენაზე.

სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პედიატრიის ინსტიტუტის ტვინის შემსწავლელი განყოფილების თანამშრომლების მიერ თანდაყოლილ და შეძენილ ავადმყოფობათა მასალების ანალიზის შედეგები და ამ საკითხის ირგვლივ მსოფლიო ლიტერატურის მონაცემები ქმნიან შესაძლებლობას ავადმყოფი ბავშვები დაიყოს 3 ჯგუფად:

1. თანდაყოლილი სიმახინჯეები, აღმოცენებულნი ნაყოფის განვითარების ჩანასახოვან პერიოდში;

2. თანდაყოლილი დარღვევები ბავშვებში, რომლებიც ვითარდებიან ქრომოსომული აბერაციის (გადახრის) შედეგად;

3. ბავშვები, რომელთა არასრულფასოვანი განვითარება დაკავშირებულია პათოლოგიურ მემკვიდრეობასთან.

აღნიშნული მიმართულებით შრომები სრულდებოდა თეორიული და კლინიკური თვალსაზრისით, რომელთა მონაცემების საფუძველზე ავადმყოფების ძირითად მასას შეადგენს ბავშვები თანდაყოლილი ანომალიებითა და ჩანასახოვან პერიოდში მავნე ფაქტორების ზემოქმედებით განპირობებული ორგანოთა და სისტემების განვითარების მანკებით.

მავნე ფაქტორებს ეკუთვნის ორსულ ქალებში ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, რაც უშუალო კავშირშია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლასთან, ღვიძლის, თირკმელების, გულსისხლძარღვთა სისტემის ავადმყოფობასთან, ინფექციურ ავადმყოფობასთან, სხვადასხვა სამკურნალო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების მიღებასთან, მუშაობა მავნე ქიმიურ საწარმოებში, რადიაქტიურ ნივთიერებათა და მაღალი სიხშირის ხელსაწყოების გამოყენების პირობებში.

ასევე დამტკიცებულია, რომ თვითოეულ მავნე ფაქტორს ცალკე ზოგად მოქმედებასთან ერთად ახასიათებს სპეციფიკური მოქმედების თავისებურებანიც. მაგალითად, ასფიქსია გადატანილი ბავშვები ძნელად იზრდებიან, უმრავლესობაში აგზნებადი პროცესები ჭარბობს შეკავებითს. წითელათი შეპყრობილი ორსული ქალის ბავშვს ხშირად უვითარდება ყრუმუნჯობა, თვალისა და გულის მანკიერება. ხოლო თუ ორსულმა ქალმა გადაიტანა ინფექციური სიყვითლე ან ღვიძლის რომელიმე ავადმყოფობა, მისი ბავშვები იბადებიან უფრო მძიმე დაზიანებით (ტვინის სიმახინჯეები, ფსიქიური სფეროს მხრივ არასრულფასოვანი განვითარება, სმენის დარღვევა, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ძლიერი ცვლილებები ღვიძლ-სანაღვლე სისტემის მხრივ).

როგორც ზემოთაც მივუთითებდით, ძირითად ჯგუფში შედიან ბავშვები განვითარების მანკებით, რაც განპირობებულია ორსული ქალის მიერ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებების მიღებით, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნითა და ორსულობის შესაწყვეტად ხმარებული პრეპარატებით.

ვინბერგმა 1960-63 წ. წ. განმავლობაში შეისწავლა ბავშვების დიდი რიცხვი განვითარების მანკებით. მისი მონაცემებით ბავშვებში ნერვული სისტემის განვითარების დარღვევისა და ჩონჩხის ძვლების სიმახინჯეების გამომწვევი მიზეზები დაკავშირებულია ორსულობის დროს სამკურნალო ნივთიერებების მიღებასთან. დედის ორგანიზმზე სამკურნალო ნივთიერებების უარყოფითი მოქმედება იწვევს ერთ შემთხვევაში დედის ორგანიზმის ზოგად მოწამვლას, ხოლო მეორე შემთხვევაში ნაყოფი უფრო მაღალ მგრძნობელობას იჩენს, ვიდრე დედის ორგანიზმი.

ბავშვის ორგანოებისა და სისტემების განვითარების მანკების ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მავნე ფაქტორების მოქმედების დროს, სიძლიერეს და ამ დროისათვის დედის ორგანიზმის ჯანმრთელობის მდგომარეობას. მძიმე დარღვევები უპირატესად ვითარდება დედის ორგანიზმზე მავნე ფაქტორების მოქმედებისას ჩანასახოვანი განვითარების ადრეულ ხანაში და ასე ვთქვათ თვითეული ორგანოს და ამა თუ იმ სისტემის ჩამოყალიბების კრიტიკულ პერიოდებში.

მაგალითად, ტალიდომიდის მავნე მოქმედება მჟღავნდება ემბრიონალური (ჩანასახოვანი) განვითარების მხოლოდ პირველი 50 დღის განმავლობაში, ორსული ქალის მიერ ამ პრეპარატის მიღებით 35-36-ე დღეზე ბავშვს უნვითარდება სახის ნერვისა და თვალის კუნთების დამბლა, მე-40 დღეზე — შიგნითა და გარეთა ყურის დაზიანება და ამასთანავე მეტყველების დარღვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

48 დღის შემდეგ კი დგება სანაღვლე გზების ატროფიის (შემცირების) და გულის მანკის ჩამოყალიბების კრიტიკული მომენტი, დაბოლოს, 60-ე დღეზე ადგილი აქვს სწორი და ყითა ნაწლავის ატრეზიას (უქონლობას). ამ პერიოდის შემდეგ უკვე ტალიდომიდი მავნე მოქმედებას ვეღარ იჩენს.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ქალთა ტოქსიპლაზმოზით დასნებოვნება მაღალ პროცენტს აღწევს, ასეთი დედებისაგან ყოველთვის არ იბადებიან ავადმყოფი ბავშვები, რაშიც მნიშვნელოვან როლს ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა ასრულებს.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევებისა და მსოფლიო ლიტერატურის ცონაცემების საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაყოფის განვითარების თავისებური დარღვევები, ორსულ ქალთა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ავადმყოფობით გამოწვეული, ჰორმონალური ბალანსის დარღვევის შედეგია. ასე მაგალითად, ქალებში ჰიპოფიზის (ტვინის დანამატი) ფუნქციის დარღვევა იწვევს ღრმა ცვლილებებს სასქესო ჯირკვლების მხრივ — ამენორეას (თვიურის უქონლობას), საკვერცხეების განუვითარებლობას, მათი კისტოზური გადაგვარებითა და ხშირი უნაყოფობით.

მას შემდეგ, რაც შესაძლებლობა შეგვექმნა ადამიანებში ქრომოსომებისა და მისი კარიოტიპის (ბირთვის სახის) გამოვლენისა, დაწყებულია გარკვეული პათოგენეზის (წარმოშობის მიზეზის) მქონე სხვადასხვა ავადმყოფთა გამოკვლევა.

ავადმყოფობანი, რომელთაც ახასიათებს ქრომოსომული ანომალიები (არასწორი განვითარება) დაყოფილია 2 ჯგუფად:

1. როდესაც ავადმყოფებს აქვთ ესა თუ ის ზედმეტი ქრომოსომა — დაუნის სინდრომი.

2. ამა თუ იმ ქრომოსომის ან მისი ნაწილის ნაკლებობა — შერესევსკი-ტერნერის სინდრომი.

არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სინდრომები, დამახასიათებელი ქრომოსომული ანომალიებისათვის, ყველა ნათელია და განსაზღვრული, არსებითად მათი შესწავლა მხოლოდ ახლა იწყება. დაუნის ავადმყოფობის დიაგნოსტიკა სადღეისოდ უდიდეს პრობლემას წარმოადგენს, რადგანაც თვით ავადმყოფობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია 9 კარდინალური (ძირითადი) ნიშანი, მიმდინარეობს სხვადასხვანაირად. ყველა ბავშვს, დაუნის ავადმყოფობის როგორი ფორმაც არ უნდა ჰქონდეს, აწუხებს მეტ-ნაკლებად გონებრივი ჩამორჩენილობა და სხვა მთელი რიგი სიმახინჯეები. მართალია დღეისათვის საბოლოოდ არ არის დადგენილი დაუნის ავადმყოფობით ბავშვების დაბადების მიზეზი, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ბავშვები ებადებათ მხოლოდ ავადმყოფ მშობლებს.

მამების ჯანმრთელობის გულმოდგინე შესწავლამ ნათელყო, რომ მავნე ფაქტორებს (მაგალითად, ფსიქიური სფეროს მოშლა, ფილტვების ტუბერკულოზი, ჰიპერტონული დაავადება, კანის სხვადასხვა ავადმყოფობანი, ქრონიკული ალკოჰოლიზმი) შეუძლიათ დათრგუნონ ბავშვის ნორმალური განვითარება. აღნიშნულ შემთხვევებში ქრომოსომთა შეუსაბამობის მიზეზი ის მთელი რიგი ჰორმონალური ძვრებია, რომელსაც ადგილი აქვს დედის სასქესო ორგანოების სისტემაში, მაგრამ არ შეიძლება გამოვრიცხოთ მთელი რიგი მავნე ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედებაც შთამომავლობაზე მამების მხრიდან.

მიღებულია ჩავთვალოთ, რომ მემკვიდრეობითი ავადმყოფობანი განპირობებულია ამა თუ იმ ქრომოსომებში გენის ან მისი ნაწილის, როგორც ნ. ა. დუბინინი მიიჩნევს, პათოლოგიური (ავადმყოფური) ცვლილებებით.

ჩვენი თვალსაზრისით შეიძლება დავუშვათ, რომ ნორმალური მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებების გადაცემის დარღვევა შეიძლება დავუკავშიროთ იმ გარემოებას, რომ პათოლოგიური გენის ან მისი ნაწილის მქონე ორგანიზმის განვითარება მიმდინარეობს განსხვავებულ პირობებში, ვიდრე მისი წინა თაობის ორგანიზმისა. ეს განვითარება შეიძლება იყოს მიმართული როგორც დადებითი ისე უარყოფითი გზით. უკანასკნელი ხშირად გამოწვეულია ქალის ამა თუ იმ ავადმყოფობით.

მაშასადამე, როგორც დავინახეთ, ნაყოფის თანდაყოლილი და შეძენილი განვითარების მანკების ძირითად გამომწვევ მიზეზს მავნე გარეგანი და განსაკუთრებით კი შინაგანი ფაქტორები წარმოადგენენ. სწორედ ამიტომ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ ამ მავნე ფაქტორების შესწავლაზე იმდენად, რამდენადაც ამ ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნება მძლავრი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, რაც საშუალებას იძლევა დავიხსნათ კაცობრიობა არასრულფასოვანი შთამომავლობის ზრდისაგან.

თარგმნა **ციალა ტაბატაძე**

## პატარებისათვის

# განუყრელი მეგობრები

ევა ჩაკალიძე

სამზარეულო მაგიდაზე დარჩენილმა ჩანგალმა დანას უთხრა:

— ხომ ხედავ დიასახლისმა არ დაგვაბინავა, ცოტა ახლოს მოიწი, ვისაუბროთ მაინც.

— მე უფროსი ვარ, შენ უნდა მოხვიდე ჩემთან, ჩვენ — დანები, უხსოვარი დროიდან ვარსებობთ და ყურადღების ღირსნი ვართ, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენგან წარმოიშვა სახელგანთქმული ნამგალი და ცელი. თქვენ კი, რაღაც სამი საუკუნეა არსებობთ და მაინცდამაინც რის გამკეთებლები ხართ?! იქნებ გგონია, სუფრაზე ერთად რომ მოვდივართ, შენი შრომა ჩემს შრომას ეტოლება?

— ასე რად ამბობ? მართალია, შედარებით ცოტას ვმუშაობ, მაგრამ განა შრომას არ გიადვილებ?

ფილთაქვას არ მოეწონა დანის სიტყვები, გადმოიხედა ფილიდან და გადმოსძახა:

— რამდენი ხანია მე და ფილი ერთად ვმუშაობთ და არც ერთს არ გვითქვამს საყვედური, მე უფრო მეტს ვმუშაობ.

— კვირაში ერთ-ორ დღეს საქმობთ, დანარჩენ დროს ნებივრობაში ატარებთ და მე მეტოლებით? — შეუყვირა გაბრაზებულმა დანამ ფილთაქვას.

— კარგი, წამოდი, ახლა სხვა მეგობრებს შევეკითხოთ, — უთხრა ჩანგალმა დანას. ოთახში შეუძლვა, კარადასთან მივიდა და დაიძახა:

— ნემსო, ნემსო ჩხვლეტია, ძაფო, ძაბია, გადმოიხედეთ, რაღაცა უნდა გკითხოთ.

ნემსი მაშინვე გადმოძვრა უჯრიდან და ძაფიც ხელკავით თან გამოიყოლა.

— აი, ჩემი ამხანაგი დანა მაყვედრის, შენი შრომა ჩემს შრომასთან შედარებით, უმნიშვნელოაო, განა ეს მართალია?

— მეგობრებს შორის ეს რა სათქმელია? მე და ძაფი მუდამ ერთად ვმუშაობთ და ამაზე არასოდეს გვქონია დავა. ურთმანეთოდ რა ფასი გვაქვს?

დანას რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ უცებ მაგიდიდან ავტოკალამი გადმობრძანდა, მივიდა დანასთან და უთხრა:

— ქვეყანამ იცის, რა განუყრელი მეგობრები ვართ მე და მელანი, რომელსაც მუდამ გულით ვატარებ, ჰოდა, ჩვენი მეგობრობით დიდი საქმეებიც კეთდება; რას გავაკეთებდით ურთმანეთოდ? რა თქმა უნდა, ვერაფერს. უნდა გახსოვდეს, რომ მეგობრობა დიდი ძალაა.

დანამ იცოდა, ავტოკალამი ბევრის მცოდნე იყო და მის სიტყვას დაეჯერებოდა; ყოყოჩობას თავი დაანება, სამზარეულოში დაბრუნდა და ჩანგალთან ერთად მეგობრულად დაიწყო მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## სწორია თუ არა ბიძინას მასწავლებელი?

(ნამდვილი ამბავი)

როცა ეს ამბავი მოხდა, გაზაფხული იყო, — ნამდვილი თბილისური გაზაფხული: ნათელი, გრილი და კრიალა, იასამნის სამო სურნელი იდგა ქალაქში და ახლადგამოტკეცილი, ხასხასა ფოთლების ზღვაური. მოზვირთებული მტკვარი მღერიე ტალღებს მოაგორებდა.

ათი-თერთმეტი წლის ყმაწვილები თამაშ-თამაშით მიუყვებოდნენ სანაპიროს — გაკვეთილები დამთავრებოდათ და ახლა უდარდელად ბრუნდებოდნენ შინ. ბიჭები ყიჟინით დასდევდნენ ერთმანეთს, ქვის სროლაში ეჯიბრებოდნენ, ხან წყალს „აფეთქებდნენ“, ხან კი მოაჯირს დაყრდნობილები აკვირდებოდნენ მდინარეს.

— შეხედეთ, შეხედეთ, რაღაცა მოაქვს წყალს, — იყვირა თამაზმა და წყალზე მოტივტივე გაურკვეველი საგანი დაანახა ამხანაგებს.

— იქნებ, ნაღმია, — დაეჭვდა ბიძინა.

ლევანს გაეცინა.

— ნამდვილი კაპიტანი ხარ, — თქვა და თამაზს გაედევნა, რომელიც მოაჯირს მოსცილდა და წყლის პირას ჩამავალ კიბეებზე დაეშვა.

ბიძინა ბიჭებს შეუერთდა.

წყალი რეზინის ჭრელ ბურთს მოათამაშებდა ნაპირ-ნაპირ.

თამაზი ყველაზე ახლოს იდგა მდინარესთან, მის ქვემოთ, ქვის საფეხურს წყალი ჰფარავდა. მან ჩანთის სახელური წკიპზე დაიჭირა, გადაიხარა და ბურთის დათრევას შეეცადა. ტალღა წაეტლაშუნა ყავისფერ ჩანთას და ხელიდან გააგდებინა ბავშვს.

— ვაიმე!

— რაღა ვქნათ!

ახმაურდნენ ბიჭები.

ჩანთა ერთი წამით შერჩა წყლის ზედაპირს. თამაზმა იქვე დაგდებულ მავთულს დაავლო ხელი, წაეპოტინა ჩანთას, ოდნავ შეეხო კიდეც, მაგრამ უეცრად წონასწორობა დაჰკარგა, თვალი აუჭრელდა და ბავშვი ამღვრეულ მდინარეში გადაემხო.

ეს ყველაფერი რამდენიმე წამში მოხდა.

— თამაზ! თამაზ!

განწირულებივით აყვირდნენ ნაპირზე დარჩენილები, ფერწასულები დაედევნენ წყალს.

თამაზი თავგანწირული ებრძოდა ადიდებულ მდინარეს, ქლოშინებდა, უსუსურად ასავსავებდა ხელებს და ნაპირს ეძალებოდა. ეს სულ ცოტახანს გაგრძელდა, მერე მოყვითალო, ჭუჭყიანმა წყალმა თავზე გადაუარა ბავშვს...

* * *

თანაკლასელები რიგში ჩააყენეს და ქუდმოხდილები მიიყვანეს ამხანაგის გამოსათხოვრად. წინა რიგში ბიძინა და ლევანი იდგნენ. მათ თვალებში შიში, სიბრალული და კიდევ მათთვის ახლადგაცნობილი, საშინელი გრძნობა იხატებოდა. ეს იყო სიკვდილთან შეჯახება, მისი გაცნობა, ეს იყო მძიმე განცდა, რომელიც ასე ნაადრევად და უტიფრად შემოიჭრა პატარების უზრუნველ ცხოვრებაში.

ბიძინას და ლევანს კითხვებით აღარ ასვენებდნენ. ახსენებდნენ იმ შემზარავ მომენტებს, რომლის მოგონება კვლავ ულიზიანებდა და უძლიერებდა ბავშვებს მიღებულ ტრავმას.

განსაკუთრებული სიძლიერით ბიძინაზე იმოქმედა ამხანაგის დაღუპვამ. ბავშვმა მთელი სიმძაფრით განიცადა ეს ამბავი. ამხანაგის სახე თან სდევდა ყმაწვილს. ღამე საწოლში წრიალებდა, ბოდავდა. მშობლები წუხდნენ, თავზე ადგნენ შვილს. დილით ბავშვი ფერდაკარგული დგებოდა, უგემურად საუზმობდა და მერე თითქმის ყოველდღე, ერთსა და იგივეს უყვებოდა დედას სევდანარევი ხმით: წუხელ თამაზი მესიზმრა, წყლიდან ხელს მიქნევდა, მემუდარებოდა, თან მსაყვედურობდა, რად არ გადამარჩინე, რატომ არ მომეშველეო. მერე თავის მართლებას მოჰყვებოდა ბავშვი. დედა ამშვიდებდა შვილს, დარდს უმსუბუქებდა.

ერთხელ თავზე წამოადგა შვილს — იჯდა ბიძინა თავის მაგიდასთან, შავყდიანი საერთო რვეული ედო გადაშლილი და ათრთოლებული ხელით ზედიზედ წერდა დაღუპული ამხანაგის გვარს და სახელს, თან შავ არშიებს ავლებდა გარშემო.

* * *

დღე დღეს მისდევდა. გაკვეთილებიც ჩვეულებრივ ტარდებოდა — დილით ცხრაზე მოდიოდნენ სახენათელი გოგო-ბიჭები, მიუსხდებოდნენ მერხებს და გაკვეთილი გაკვეთილს ენაცვლებოდა: პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე...

...მეხუთე გაკვეთილი იმ დღეს სიმღერის ჰქონდათ. შემოვიდა მაღალი, მწითური ქალი.

სია არ ამოუკითხავს — ეშინოდა, ინერციით დაღუპული ბავშვის გვარი არ წამოსცდენოდა. მითუმეტეს, რომ მისი გვარი ჯერ ისევ ეწერა ჟურნალში, მხოლოდ დასწრების აღმნიშვნელ უჯრებში გრძელი, უწყვეტი, მასწორო ხაზი იყო გავლებული.

ბავშვები მოლილად ადევნებდნენ თვალს მასწავლებლის ყოველ მოძრაობას.

ოთახში აუტანელი სიჩუმე ჩამოწვა.

მასწავლებელმა დაიწყო დინჯად, სვენებ-სვენებით:

— დღეს ჩვენ გავიმეორებთ უკანასკნელ გაკვეთილზე შესწავლილ სიმღერას. ვინ დაიწყებს?

...საკლასო ოთახის ფანჯრები ღიაა, ეზო ალვის ხეებითაა შემოჯარული და საოცრად მიყუჩებული.

აუტანელი სიჩუმე დგას.

მასწავლებელი ველარ იტანს შემზარავ სიწყნარეს, მერხებს შუა დადის, ქუსლებს ჩვეულებრივზე მაგრად ადგამს იატაკზე, ახმაურებს ოთახს.

ისევ ისმის:

— აბა, ვინ დაიწყებს?

ბიძინა მეორე რიგში ზის მარცხნივ, ფანჯარასთან. მასწავლებელი მასზე აჩერებს მზერას.

— ბიძინა, შენ დაიწყე, გამოდი.

ბიძინა ნელა, ზლაზვნით გამოდის და ხელებჩამოშვებული დგება კლასისკენ პირშექცეული.

— დაიწყე... — მასწავლებელი ტონს აძლევს ბავშვს.

ბიძინა იღუშება.

— ვერ ვიმღერებ.

— ჰმ! რას ჰქვია „ვერ ვიმღერებ“. აბა, ჩქარა!..

— ვერ ვიმღერებ! — იმეორებს ბიძინა და თვალს ავლებს თანაკლასელებს.

— გაკვეთილს მიშლი, ყმაწვილო? ვნახოთ! დაბრძანდი.

ისევ სიჩუმე, კლასი დუმს. მასწავლებელი ხვდება, რომ გაკვეთილის ჩატარება შეუძლებელია, ჟურნალს იღებს მაგიდიდან და ხმაურით გადის...

ბიძინას მშობლები სკოლაში დაიბარეს.

— თქვენმა ვაჟმა, ბატონო, გაკვეთილი ჩამიშალა. არც მანამდე მაყენებდა კარგ დღეს. ახლა მიზეზი იპოვა და... მე მესმის ყველაფერი, ცუდი ამბავი მოხდა, მეც ძალიან განვიცდი, მაგრამ ასე ხომ არ შეიძლება! დავხუროთ სკოლა?! მეც ხომ ჩემი გეგმა მაქვს, ჩემი განრიგი. ყოველ დაკარგულ საათზე პასუხს ვაგებ. ბავშვების კაპრიზებს ხომ არ ავყვები. ეს თავხედობაა, გენაცვალეთ, მთელი კლასი აიყოლია. არ ვიცი, მე დირექტორს მოვახსენებ ყველაფერს...

მშობელი უსმენს მასწავლებელს და დუმს. ან კი რა აქვს სათქმელი?

* * *

მერე ეს მშობელი რედაქციაში მოვიდა, ყველაფერი მიამბო და მკითხა:

— სწორია თუ არა ბიძინას მასწავლებელი?!

თქვენ რას იტყვით, მკითხველო?

**გურამ გომართელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ექიმის რჩევა

# ქართველი ქიმიკოსის პრეპარატი

თქვენ, ალბათ, შეგიმჩნევიათ სახეზე, ცხვირზე, თვალის ქუთუთოზე, კისრის არეში, ზოგჯერ — ტანზეც წანაზარდები, ხორცმეტები, მეჭეჭებისა და კონდილომების სახით. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი წანაზარდი კეთილთვისებიანი მიმდინარეობით ხასიათდება და მხოლოდ კოსმეტიკურ დეფექტს წარმოადგენს. მაგრამ, არის შემთხვევები, როცა ეს წანაზარდი ხელს უწყობს ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარებას. ამიტომ, მას ზოგჯერ კიბოსწინარე მდგომარეობას უწოდებენ. ასეთია, მაგალითად, დაბადებიდან თანდაყოლილი ხალები (მეტადრე, პიგმენტური), როცა ისინი იცვლიან თავის ფორმას, სიდიდეს და შეფერილობას, სკდებიან, წყლულდებიან, მზარდი მეჭეჭები, პაპილომები, ჰიპერკერატოზები (კანის გარქავება), ტუჩებზე მოთეთრო ლაქები ე. წ. ლეიკოპლაკიები ანდა ლორწოვანი ცალკეული ნაკვთები, რომლებიც უფრო ვარდისფრად ან წითლად გამოიყურებიან, ვიდრე გარშემო მდებარე ლორწოვანის ნაკვეთები (ე. წ. ერითროპლაკიები).

ერთი სიტყვით, ყველა სახის წარმონაქმნი, რომელიც ტენდენციას გამოიჩენს გადიდებისაკენ, გამაგრებისა და გამკვრივებისაკენ, ქრონიკული ანთებადი პროცესები, დისტროფიული პროცესები და აგრეთვე კეთილთვისებიანი სიმსივნეები არაიშვიათად წარმოადგენენ ნიადაგს, რომელზეც კიბო აღმოცენდება.

ცხადია, უმჯობესია, თუ ყველა ზემოთჩამოთვლილი წარმონაქმნი მოცილებული იქნება, ჯერ ერთი, მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად, მეორეც, იმიტომ, რომ ულამაზოა და კოსმეტიკურ დეფექტად ითვლება.

მაგრამ ქირურგიული ჩარევა ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს — სიმსივნის მოცილების შემდეგ ზოგჯერ ძნელდება სისხლის დენის შეჩერება.

ამიტომ, გასაგებია, რა გულისყურით შეუდგნენ საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტი და რესპუბლიკის ონკოლოგიური კათედრა ქიმიკოს ამირან ქარჩაულის მიერ მოწოდებული პრეპარატის აპრობაციას, კეთილთვისებიან სიმსივნეთა კიბოსწინარე მდგომარეობის სამკურნალოდ.

აპრობაციის პირველსავე წელს ქარჩაულის პრეპარატით რადიკალურად განიკურნა 562 ავადმყოფი. სიმსივნე მოცილებულ ადგილებზე შემდეგ აღარ აღინიშნებოდა სიმსივნის მეორედ გაჩენა ანუ რეციდივი.

ამირან ქარჩაულის პრეპარატს ახასიათებს მაღალი ამრჩევლობითი თვისება და საკმარისი გაჟღენთვის უნარი, საკმაოდ მოსათმენი და მსწრაფლგამავალი მტკივნეულობა (დამუშავების პროცესში), გვერდითი მოქმედებათა უქონლობა და მკურნალობის მეთოდის სისადავე. განსაკუთრებით აღნიშნვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ამ სითხით მკურნალობის შემდეგ კანზე არავითარი კვალი არ რჩება. ეს თვისებები აღნიშნულ პრეპარატს აძლევს მთელ რიგ უპირატესობას მედიცინაში დღემდე არსებულ სხვა მედიკამენტებთან, როგორიც არის მაგალითად, ლიაპისი, პოდოფილინი, გორდეევის სითხე და სხვა (სხვათაშორის, გორდეევმა სწორედ ამ პრეპარატისათვის მიიღო სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება).

ამ პრეპარატით მკურნალობა წარმოებს, გარდა ზემოხსენებულ სამედიცინო დაწესებულებებისა, აგრეთვე კანისა და ვენერიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, თბილისის მე-4 საავადმყოფოპოლიკლინიკაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საავადმყოფოში და, აგრეთვე, ქალაქის ზოგიერთ პოლიკლინიკაში.

**ვლ. გასვიანი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

## გვირჩევს ფრანგული ჟურნალი «ანტუანეტი»

სარეცხის დარეცხვის, ტანის დაბანის, ან ბავშვის დაბანის წინ ჯერ სახე დაიბანეთ, შემდეგ წაისვით მკვებავი კრემი და ისე შეუდექით საქმიანობას. ორთქლისაგან სახის კანის ფორები დიდდება და კრემს კანი კარგად შეიწოვს.

სრიალა, რბილი ხელები განა მხოლოდ უსაქმურებსა აქვთ! დროდადრო გაიკეთეთ ხელის მარილიანი აბაზანები (100 გრ მარილი ერთ ლიტრ წყალზე). წყალი ისეთი ცხელი უნდა იყოს, რომ ძლივს ითმენდეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ დაიბანეთ ხელი ტუალეტის საპნით და წაისვით მკვებავი კრემი.

## დიასახლისები — რედაქციას

### პატივცემულო რედაქცია!

ამ ბოლო ხანებში ძალიან ბევრი კარგი სარეცხი საშუალება გამოდის სითხისა და ფხვნილის სახით, ამაზე დიასახლისებს საყვედურის თქმა არ შეგვიძლია, მაგრამ ღვინის ლაქების ამოსაყვანად ყველაზე საუკეთესო საშუალებაა „გამათეთრებელი სითხე", რომელიც ახლა ძალიან იშვიათად გამოდის და რაიონსა და სოფლებში ვერ იშოვით. წინათ ამ სითხეს თბილისში მაინც ვშოულობდით ისიც გაჭირვებით, ახლა არც იქ არის.

ძალიან გთხოვთ, გაგვირკვიოთ, რატომ აღარ გამოდის ეს სითხე და, თუ გამოდის, დაგვეხმაროთ, რომ ჩვენს რაიონში და სოფლის მაღაზიებში გამოგზავნონ. მერწმუნეთ, ამის გამო ძალიან ბევრი დიასახლისი დაგიმადლებთ.

**ნათელა გოჯოიძე,**
ზესტაფონის რაიონი, სოფელი მეორე სვირი.

რედაქციისაგან: ამ წერილის გამო ჩვენ დავუკავშირდით თბილისის საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნის ადმინისტრაციას. გამოირკვა, რომ ქარხანა „გამათეთრებელ სითხეს" ახლაც ამზადებს, მაგრამ ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება ძალზე გაიზარდა და მისი დაკმაყოფილება დღესდღეობით ქარხანას არ ძალუძს. ვფიქრობთ, ჩვენი დიასახლისების თხოვნას გაითვალისწინებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველო და მომავალი წლისათვის თავის საწარმოებში მეტი რაოდენობით დაგეგმავს „გამათეთრებელი სითხის" გამოშვებას.

### ძვირფასო რედაქცია!

ამ რამდენიმე წლის წინ ერთერთ გაზეთში დაიბეჭდა მკითხველი ქალების წერილი, რომლებიც იწონებდნენ წინდების ფერს, რომელსაც წითელი ფერი გადაჰკრავს. აღნიშნავდნენ, რომ ეს ფერი კარგად ეხამება ზღვაზე გაშავებული ფეხების ფერს. მაგრამ ყველა ხომ ზღვაზე არ მიდის; ან ყველა ტანსაცმელს ხომ წითელ-ყვითელი ფერი არ მოუხდება; ჰოდა, იძულებული ვართ ქალები, რომ ერთხელ უკვე შენაღები წინდა ჯერ გამოვხარშოთ, მერე შავ საღებავში გავავლოთ და ასე მივაღწიოთ სასურველ რუხ ფერს. მაგრამ წვალებას ვინ ჩივის — ასე შენაღები წინდა ფეხსაცმლის სარჩულსაც აშავებს და ფეხსაც!

ახლა მეორე საჩივარსაც მოგახსენებთ: თქვენს ჟურნალში ხშირად იბეჭდება წერილები კოსმეტიკაზე, მათ ჩვენ დიდი გულისყურით ვკითხულობთ, მაგრამ რჩევა ქაღალდზევე რჩება!

საქმე იმაშია, რომ ჩვენთან, მაღაზიებში, პარფიუმერიის განყოფილებაში კბილის პასტისა და ოდეკალონების გარდა არაფერი გააჩნიათ. ამ უკანასკნელ წლებში ბევრი იწერება ჰიდროკოსმეტიკის შესახებ. ეს კრემები ჩვენში თვალითაც არავის უნახავს. ისევე, როგორც სხვა სახის კრემები. გამყიდველებს რომ ვეკითხებით, რატომ არა გაქვთ-თქო, გვპასუხობენ: ამას ჩვენ არ გვაძლევენო.

გთხოვთ, დაბეჭდოდ ეს ჩემი წერილი, იქნებ იმათაც წაიკითხონ, ვისაც რაიონული მაღაზიების მომარაგება ავალიათ და სამტრედიელებსაც გვაღირსონ ის დღე, რომ მაღაზიაში შევიდეთ და თავისუფლად ვიყიდოთ საჭირო კრემი თუ ლოსიონი.

**თ. კო-ძე**

# სასარგებლო რჩევები

ლაქის ფეხსაცმელი ახლა მოდაშია. მაგრამ ყოველდღიურად და ყველა ტანსაცმელთან მისი ტარება არ შეიძლება. გახსოვდეთ, რომ ლაქის ფეხსაცმელი უმეტეს შემთხვევაში საღამოს, საგირეო ტანსაცმელთან ჩასაცმელად არის განკუთვნილი. თუ თქვენ ლაქის ფეხსაცმელი გაქვთ, მისი მოვლაც უნდა იცოდეთ, რადგან ფეხსაცმლის გამძლეობა იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ მოუვლით.

თუ ლაქის ფეხსაცმელი წვიმაში დაგისველდათ, მზეზე ან ცხელ ღუმელთან კი არ გააშროთ, არამედ რბილი ტრიკოტაჟის ნაჭრით გაამშრალეთ. სინთეტიკური ლაქის ფეხსაცმელი დროგამოშვებით რძეში დასველებული ბამბით გაწმინდეთ, ხოლო ლაქის ტყავის ფეხსაცმელი გაწმინდეთ ვაზელინით.

ფეხსაცმელს რომ გაიხდით, გაანიავეთ, ლანჩების ძირი ფრთხილად გაწმინდეთ წყალში ოდნავ დასველებული ნაჭრით, შემდეგ კარგად გამოტენეთ ქსოვილით ან ქაღალდით (უკეთესია, სპეციალური კალაპოტი) და შეინახეთ ყუთში ან კარადაში. ფეხსაცმელი, რომელსაც ყოველდღიურად არ ატარებთ, შეინახეთ პოლიეთილენის ტომარაში და თასმით გამოკარით.

**შეცდომის გასწორება**

**ჩვენი ჟურნალის მ. წ. მე-9 ნომერში დაშვებულია კორექტორული შეცდომა, სტატიას — „ვაჟია თუ ქალი“ არ აწერია ავტორის — ექიმ გოხლერნერის — გვარი. 28-ე გვერდზე მესამე სვეტში ქვევიდან 25-ე სტრიქონიდან უნდა იკითხებოდეს ასე: „...ამგვარად, მომავალი ადამიანის სქესი უკვე ჩასახვის მომენტშივე განისაზღვრება და ის მთლიანად მ ა მ ა ზ ე ა დამოკიდებული“.**

*

მამაკაცის შარვალზე ნაკეცი დიდხანს გაძლებს, თუ გაუთოვებამდე უკუღმა პირიდან ქსოვილს ზუსტად ნაკეცზე წაუსვამთ მშრალ საპონს. შარვალს აუთოვებენ კარგი პირიდან, სველნაჭერდაფარებულს.

*

თუ შუშის საცობი მჭიდროდ არ ეხურება ჭურჭლის ყელს, საცობს ოდნავ წაუსვით რაიმე ცხიმი.

*

აბრეშუმის ქსოვილს ყავის ლაქა შეგიძლიათ ასე ამოაცილოთ: 20 წილი სპირტი, 20 წილი წყალი და 1 წილი ნიშადურის სპირტი შეურიეთ ერთმანეთს და ამ ნარევით მოწმინდეთ ლაქა, შემდეგ სველი ადგილი შეაშრეთ სუფთა ნაჭრით, ბოლოს წყალი გადაავლეთ.

შალეულის ქსოვილიდან კი ყავის ლაქა ასე ამოიყვანეთ: წაუსვით სუფთა ბენზინით გაჟღენთილი ბამბის ტამპონი, შემდეგ ეს ადგილი ამორეცხეთ ნიშადურის სპირტისა და წყლის ნარევით (ორივე თანაბარი რაოდენობით).

## ჯანმრთელობისა და ავტორიტეტის გასამტკიცებლად

ოჯახის უფროსის ავტორიტეტი და ჯანმრთელობა სახუმარო საქმე როდია! მის ასამაღლებლად და გასაკაჟებლად გთავაზობთ ვარჯიშების შემდეგ ციკლს:

I ვ ა რ ჯ ი შ ი: ადექით ყველაზე ადრე, გააღეთ სარკმელი, გაანიავეთ ბინა.

II ვ ა რ ჯ ი შ ი: მარჯვენა ხელში დაიჭირეთ ბიდონი, მარცხენაში — ბადურა და გაიქეცით მაღაზიისაკენ. იყიდეთ რძე, მაწონი, ფუნთუშეული და საუზმისთვის აუცილებელი სხვა პროდუქტები. თუ უახლოესი მაღაზია დაკეტილი დაგიხვდათ, შეგიძლიათ ცოტა იქითაც გაიქცეთ.

III ვ ა რ ჯ ი შ ი: დადგით ჩაიდანი გაზქურაზე, სანამ ის ადუღდება, სწრაფი ნაბიჯით გადაიარეთ ოთახი და აალაგეთ ლოგინი. გახსოვდეთ, ეს ვარჯიში განსაკუთრებულ ყურადღებას და გულისყურს მოითხოვს.

IV ვ ა რ ჯ ი შ ი: საწყისი მდგომარეობა — მარჯვენა ხელში დაიკავეთ ცოცხი ან მტვერსასრუტი. ამ „სპორტული“ იარაღებით ხელში მოიარეთ ოთახი. თუ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეთ, შეიარაღდით მტვრის ტილოთი. გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, დაიხარეთ და რამდენჯერმე დაასველეთ ტილო ტაშტში, შემდეგ ოდნავ გაწურეთ და იატაკს იქამდე უსვით, სანამ არ დარწმუნდებით, რომ კარგი მორეცხილია. მკვეთრ მოძრაობებს ერიდეთ, რადგან შეიძლება ავეჯი დაზიანდეს.

V ვ ა რ ჯ ი შ ი: საუზმის შემდეგ დარეცხეთ ჭურჭელი. ამ დროს არ არის საჭირო ღრმად ამოსუნთქვა.

VI ვ ა რ ჯ ი შ ი: დაათვალიერეთ კოსტუმი, რომლითაც სამუშაოზე წასვლას აპირებთ. ჯაგრისით (რა თქმა უნდა, ტანსაცმლის ჯაგრისით) მოაცილეთ მტვერი. თუ ტანსაცმელზე ღილი გაკლიათ, — მიაკერეთ. ბუზღუნი ამ შემთხვევაში არ არის რეკომენდებული.

VII ვ ა რ ჯ ი შ ი: წაიყვანეთ ბავშვი საბავშვო ბაღში ან ბაგაში. თუ არ იცით, სად არის ეს ბაღი თუ ბაგა, ჰკითხეთ ბაბუას ან ბებიას, სიდედრს ან ცოლს.

ამის შემდეგ შეგიძლიათ რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქოთ და სამუშაოსკენ გაემართოთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რეკომენდებულ ვარჯიშებს სარგებლობა მოაქვს მხოლოდ სისტემატური გამეორებებისას.

გარეკანზე — მხატვარ ბისტის ილუსტრაციები ვ. მაიაკოვსკის პოემისათვის „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონები — 99-56-47. 99-56-14. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1.75. პირობით ფორ. რაოდ. 5. 3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/X, 68 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000 შეკვ. № 3538 უე 02538 ფასი 80 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელად ჰაინრიჰი

ბერტემანების ოჯახში დილაადრიან კამათი ატყდა!

— ჩემს ფინჯანს ნაპირი აქვს მომტვრეული! — დაიძახა მამამ.

— რა მოხდა მერე, არც კი ემჩნევა!

— ტუჩები ხომ არ უნდა გავიჭრა!

აი ასეთი შინაურული დავა იყო ჩაის სმის დროს მაგიდასთან. ჭურჭელი ყველა ოჯახში ტყდება. ნეტავ, რომელი თეფში ან ფინჯანი რჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე. მხოლოდ ვერცხლის კოვზმა ან ჩანგალმა შეიძლება გაუძლოს საუკუნეებს. ფაიფური ყვავილივითაა — ყვავილი რომ აყვავდება და მერე თავის ყვავილობას მოათავებს ხოლმე. ჭურჭლის რეცხვის დროს, შეიძლება თეფში დაგივარდეს, ან ჩაიდანის გამშრალებისას უცებ სახელური შეგრჩეს ხელში. ანდა ჩაის რომ ასხამ, ყვავილებით მოხატული სახურავი გადმოგივარდეს და ლამბაქს ნაწილი მოემტვრას. ერთ შემთხვევაში სახურავი რჩება ხოლმე მთელი. მეორეში კი შეიძლება ლამბაქი გადარჩეს და სახურავს დახატული ვარდი ჩამოეფშვნას. სიმღერა ფაიფურზე მრავალნაირი სტროფისაგან შედგება, ხოლო რეფრენი და მამის კონტრაბასი კი ყოველთვის ერთი და იგივეა:

— მძულს ნაპირებმომტვრეული ჭურჭელი მაგიდაზე! ეს შეურაცხყოფს მშვენიერების გრძნობას! ვანდალებივით იქცევით ოჯახში! აბა მე როდის რა გამიტეხია!

რაზედაც დედამ უპასუხა:

— აბა რას ამბობ, ჰაინრიჰ? შენ რა უნდა გაგიტყდეს. შენ ფინჯანიდან მხოლოდ სვამ და თეფშიდან ჭამ. ჩვენ კი ჭურჭელი გაგვაქვს, შემოგვაქვს, ვასხამთ, ვრეცხავთ, ვავლებთ, — ყოველდღიურად ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ...

— მაშ კარგი, ორი კვირის განმავლობაში მე ავრეცხავ ჭურჭელს და მე გავაწყობ მაგიდას. აბა, ვნახოთ, თუ რამეს გავტეხავ, სიკვდილზე მოვაწერ ხელს, — მიუგო ჰაინრიჰმა.

— აგრე იყოს! — აღტაცებით წამოიძახა ქალმა. — სიტყვა არ გატეხო.

ჰაინრიჰმა პირობა შეასრულა. და ნამდვილი საოცრება მოხდა. თოთხმეტი დღე ჰაინრიჰი შლიდა სუფრას. მიჰქონდა და მოჰქონდა ჭურჭელი, ფინჯნები და ჭიქები. რეცხავდა, ავლებდა, ამშრალებდა, ხეხავდა, აპრიალებდა, ალაგებდა კარადაში, ისევ უკან გამოჰქონდა, მაგიდაზე აწყობდა, ასხამდა და ჭურჭელს ოდნავი ზიანიც კი არ მოსვლია. ისევ ისეთი იყო, როგორც პირველ დღეს. მთელი ოჯახი ამაყობდა მამა ჰაინრიჰით თურმე მამაკაცები უფრო კარგი დიასახლისები ყოფილან, შეიძლება ამ ძვირფას მაგალითს სხვებმაც კი მიბაძონ. ჰაინრიჰი ქებას იფერებდა. გმირის იერით იმზირებოდა:

— აი, ხომ ხედავთ, რომ შესაძლებელი ყოფილა! — თქვა მან.

— მოხიბლული ვართ შენით, მამა.

ერთ მშვენიერ ნაშუადღევს ჰაინრიჰის სამსახურში ყოფნისას, შემთხვევის ბრალი იყო თუ განგებისა, ქალბატონმა ბერტემანმა ნამცხვარი გამოაცხო, კარადიდან დიდი თეფში გამოიღო ნამცხვრის დასადებად და უცებ ჭახ! თეფში ხელიდან გაუვარდა და გატყდა.

— უჰ, აფსუს, — წამოიძახა შეშინებულმა ქალმა, — ერთხელ გამოვიღე თეფში და მაშინაც გამიტყდა, რა პირით უნდა ვეჩვენო ქმარს, რომელსაც არასოდეს არაფერი უტყდება. სირცხვილისაგან ვიწვი. მირჩევნია, მიწა გამისკდეს და შიგ ჩავარდე. ჰაინრიჰი რას იფიქრებს?

თვითეულ ქალს აქვს დალოცვილი განსჯის უნარი. რატომ უნდა მისცეს საბაბი ოჯახურ უსიამოვნებას, თუკი ორიოდ მარკად ახალი თეფშის ყიდვა შეიძლება? გაფიქრება და შესრულება ერთი იყო. ნამსხვრევები ქაღალდში შეახვია და გაეშურა იქვე ქუჩის კუთხეში მდებარე ჭურჭლის პატარა მაღაზიისაკენ. როგორც მოგახსენეთ, მაღაზია პატარა იყო და მცირე ასორტიმენტი მოეპოვებოდა.

— სერვიზის ცალი თეფში მინდა, — სთხოვა ქალბატონმა ბერტემანმა გამყიდველს.

— აბა როგორი?

— აი, გატეხილი თან მოვიტანე, — მიუგო ქალმა და ქაღალდი გაშალა.

— ბედი გქონიათ, — უთხრა გამყიდველმა, — ჩვენ სწორედ ასეთი ჭურჭელი ერთი ახალი მუშტრის თხოვნით საგანგებოდ შევუკვეთეთ. ის მუშტარი თითქმის ყოველდღე მოდის და თოთხმეტი დღის განმავლობაში თერთმეტი ფინჯანი, რვა ლამბაქი, შვიდი მათლაფა, ოთხი თეფში და ერთი ახალი ჩაიდანი შეიძინა სერვიზის შესავსებად. საიდუმლოდ მოგახსენებთ, ეტყობა, დონდლო ხელები აქვს, რომ ყოველდღიურად ამდენი ჭურჭელი უტყდება.

ქალბატონ ბერტემანს ორჯერ დაასლოკინა, ვიდრე სიტყვას წარმოთქვამდა:

— შემთხვევით იმ მუშტრის გვარი ხომ არ იცით?

— როგორ არა, — მიუგო გამყიდველმა ალალად, — ბატონი ბერტემანი. აქვე ახლოს ცხოვრობს. სახელად ჰაინრიჰი ჰქვია.

## ხალხური სიბრძნე



ვინც ხის ძირში დაისვენა — ხის დამრგველიც გაიხსენაო.
ვინც თავი შეირცხვინაო — სოფელიც შეარცხვინაო.
ზღვაზე ხიდი იმან გადო, ვინც ქვეყნისთვის თავი დადო.
კაცო. ნუ იზამ მტერობას — გამოაკლდები ერობას.
იგი კაცი რა კაცია, ვინც უქნარა ზარმაცია.
მაშინ ვარგობს თვალმახარა, როცა გულმაც გაიხარა.
რკინას ცეცხლში გამოწვრთიან, კაცსა ჭირში გამოცდიან.
უქნარა კაცის ტარება, მიწასაც დაეზარება.
ხეც არ გახმება დარგული სასოფლო შარა-გზაზედა.

შეკრიბა დიმიტრი გონაშვილმა



ИНДЕКС 76178